მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საჯარო ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა“-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

დღიური

- დაიხურა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი.
- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია.
- ტარნოვის ციხეში (პოლონეთი) პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს.
- მოსკოვში დაბრუნდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია.
- თეთრგვარდიელ მელიქს, რომელიც საბჭოთა საკონსულოს თავს დაესხა პარიზში, ერთი თვე მიუსაჯეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 16 მარტი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 59 (1514)

ა|კ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირი

გაიხსნება დღეს, დილის 11 საათზე
ს.კ.პ. ა|კ. საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში
ს.კ.პ. ა|კ. საოლქო კომიტ. ბეჭდვ. სიტყვ. განყ. მდივანი ბელი.

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა გადავიდა

ახალ ბინაზე (რუსთ. პრ. № 34)

გადამწყვეტი მომენტი

ასეთი მომენტი დადგა ჟენევაში. ბრძოლამ ერთა ლიგის გარშემო უმაღლეს წერტილს მიაღწია. ღრმა კრიზისს განიცდის არა მარტო ეს დაწესებულება, არამედ ამასთან დაკავშირებით სერიოზული საფრთხე ემუქრება ლოკარნოს ხელშეკრულებას და ევროპაში ვერსალის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას. ტყუილად არ აცხადებს ბრიანი: ჟენევაში წყდება საკითხი, თუ საითკენ იქნება მახლობელ წლებში მიმართული მსოფლიო პოლიტიკა—ზავისა თუ ომისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ ეს პოლიტიკა დიდი ხანია ნიადაგს უმზადებს ახალ მსოფლიო ომს. ჟენევის ეხლანდელი ამბებიც ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელია.

მიუხედავად მოკავშირეთა ცდისა, გერმანია გადაჭრით აცხადებს უარს ერთა ლიგაში შესვლაზე, თუ მის საბჭოს შემადგენლობაში კიდევ სხვა სახელმწიფო იქნება შეყვანილი. პირველ ყოვლისა, საქმე პოლონეთს ეხება. რა თქმა უნდა, ბრძოლა ამ შემთხვევაში წარმოებს არა მარტო საფრანგეთ-გერმანიას შორის, არამედ ინგლის-საფრანგეთს შორის, რასაც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს.

ერთა ლიგაში ხელმძღვანელ როლს ინგლისი თამაშობს. გერმანიის შესვლით ამ ორგანიზაციასა და მის აღმასრულებელ ორგანოში—საბჭოში—იგი უფრო გაძლიერდება და ამდენად დასუსტდება საფრანგეთი, მიტომ რომ გერმანია გამტარებელი იქნება ინგლისის პოლიტიკის. ეს პოლიტიკა კი მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ. ლოკარნოში ინგლისმა დიდი გამარჯვება მოიპოვა; იგი გაბატონდა ევროპაში და საფრანგეთი თავის გავლენას დაუმორჩილა. ინგლისი ცდილობს ამ შედეგების განმტკიცებას საფრანგეთის დაუძლურება-განაპირების გზით. ამ შემთხვევაში მას ყველაზე უფრო გამოადგება გერმანია, როგორც საფრანგეთის მოწინააღმდეგე ძალა.

საფრანგეთი მოწადინებულია გერმანიას ერთა ლიგაში დაუპირდაპიროს თავისი მოკავშირე პოლონეთი და ამ გზით ინგლისის პოზიციაც შეარყიოს. ამიტომაც ის ენერგიულად უჭერს მხარს პოლონეთისათვის მუდმივი ადგილის მიცემას ლიგის საბჭოში. გერმანიას განზრახვა აქვს ლიგაში წამოაყენოს ვერსალის ხელშეკრულებით დაწესებულ თავის აღმოსავლეთის (პოლონეთთან) საზღვრების გადასინჯვის საკითხი. მისი გადაჭრა გერმანიის სასარგებლოდ ლახვარს ჩასცემს როგორც საფრანგეთს, ისე პოლონეთს. ამით ჯვარი ესმება საფრანგეთ-პოლონეთის კავშირს, საფუძვლიანად ირყევა ამ ორივე ქვეყნის მდგომარეობა, გერმანია ღონიერდება; ამასთან აღსანიშნავია, რომ ვერსალის „ზავის“ რევიზია ამ ნაწილში ნიადაგს შეუმზადებს მისი სხვა მუხლების გადასინჯვას. გერმანია ამას ესწრაფვის. ინგლისიც არსებითად მხარს უჭერს ამას, საფრანგეთის დასუსტების მიზნით. საფრანგეთი ცდილობს გერმანია-ინგლისის ეს ცდები გააქარწყლოს პოლონეთის შეყვანით ერთა ლიგის საბჭოში.

გარდა ამისა, საფრანგეთი ისწრაფვის საერთოდ დაუკარგოს ღირებულება ერთა ლიგას, რომელიც ინგლისის ხელში გადაქცეულია მისი დამონების იარაღად. მას სურს იმდენად გააფართოვოს ერთა ლიგის საბჭო, გახადოს ის ერთგვარ პარლამენტად, მრავალრიცხოვან დაწესებულებად, რომ არ შესწევდეს მუშაობის უნარი და იქცეს უბრალო სალაყბოდ.

ინგლისი წინედ წინააღმდეგი იყო პოლონეთისათვის მუდმივი ადგილის მიკუთნებისა ერთა ლიგის საბჭოში და უკანასკნელის შემადგენლობის გაფართოვების. ბოლო დროს იგი თითქო მხარს უჭერს ამ საკითხში საფრანგეთ - პოლონეთს. ნამდვილად დაუთმო მან აქ საფრანგეთს და სამაგიეროდ მიიღო რაიმე, თუ ეს მის მანევრს წარმოადგენს, ამის თქმა ძნელია. საფიქრებელია, რომ, მიუხედავად ფორმალურ დათმობისა, ინგლისი ძველ პოზიციაზე დგას; წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანია ასეთ ურყევლობას ვერ გამოიჩენდა თავის მოთხოვნებში, მას, ალბად, ინგლისი კვლავ უმაგრებს ზურგს.

ასეა თუ ისე, მდგომარეობა უაღრესად რთულია. გერმანიამ უარყო ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ სახელმწიფოების კომპრომისული წინადადება, რომ გერმანიას ლიგის საბჭოში მისცემენ მუდმივ ადგილს, ხოლო პოლონეთს დროებით ადგილს. შესაძლებელია, რომ, როგორც გერმანიის, ისე პოლონეთის და სხვა ქვეყნების (ესპანია, ბრაზილია) წარმომადგენლებით ლიგის საბჭოს გაფართოვების საკითხის განხილვა გადაიდოს შემდეგისათვის და ერთა ლიგაში გერმანიის ეხლა შესვლის საკითხი მოხსნილ იქნას. ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობენ ლიგის საბჭოს შესახებ ახალი დებულების გამომუშავების შესახებ.

შეთანხმების მიღწევის ცდები ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ბრიანის „დიპლომატიურ ტალანტზე“ ზოგიერთები ისევ ამყარებენ იმედს. ამასთან ბრიანი იმუქრება „მოქმედების თავისუფლების“ დატოვებით, თუ გერმანია „მოკავშირეთა“ მოთხოვნას არ მიიღებს. დღეისათვის განზრახულია ლიგის საბჭოს პლენარული სხდომის მოწვევა, სადაც გადატანილი იქნება სადაო საკითხები, თუ წინასწარ მათ შესახებ უკანასკნელ მომენტში არ მოხდება შეთანხმება.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ამჟამად საკითხი, ერთი რამ აშკარაა: ლოკარნოს ხელშეკრულება, რომელსაც მისი ავტორები ახალი ეპოქის, მსოფლიო მშვიდობიანობის ხანის დასაწყისად ნათლავდენ, ატარებს თავის წიაღში ახალ გართულებათა, ახალი ომის საფრთხეს. წამოჭრილია საკითხი ვერსალის „ზავის“ რევიზიის, რაც სახელმწიფოთა შეხლა-შემოხლის წინამორბედია. თუ გინდ დროებით ერთა ლიგის ეხლანდელი კრიზისი დაძლეულ იქნას, ქაღალდზე მიღწეული შეთანხმებით (თუ ეს მოხდა), არ შეიძლება მოსპობა იმ წინააღმდეგობების, რომელნიც ღრნიან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ეს წინააღმდეგობები ახლო მომავალში უფრო მეტი სიძლიერით იჩენენ თავს.

ლოკარნოს ხელშეკრულება საფრთხეშია

გერმანია ილაშქრებს პოლონეთისათვის მუდმივი ადგილის დათმობის წინააღმდეგ

უშუალო მოლაპარაკება ბრიანსა და გერმანიის დელეგაციას შორის უშედეგოთ დამთავრდა

გაზეთების აზრით ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხი სექტემბრისთვის გადაიდვა

ბრიანი ემუქრება გერმანიას „თავისუფალი მოქმედების უფლების“ დატოვებით

პოლონეთის, ბრაზილიის და ესპანეთის პრეტენზიები.

პარიზი, . 14 მარტი. ბრაზილიის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ერთა ლიგის საბჭოს მუდმივ ადგილზე ბრაზილიის კანდიდატურა უარყოფილ იქნა, ის იძულებული გახდება ხმა მისცეს გერმანიის მიღების წინააღმდეგ. იტალიის წარმომადგენელმა შალოიამ გააკეთა ანალოგიური განცხადება პოლონეთის სასარგებლოდ. ესპანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ესპანეთი გამოვა ერთა ლიგის შემადგენლობიდან, თუ მას მუდმივი ადგილი არ მიეცა საბჭოში.

ამის გამო ესპანეთის წარმომადგენელმა კვინიონეს დე-ლეონმა საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნა ლეონ ბურჟუას და ბალფურის წერილი 1922 წლ. 16 სექტემბრის თარიღით (ბურჟუა მაშინ საფრანგეთის წარმომადგენელი იყო ლიგაში, ბალფური კი—ინგლისის), რომელშიაც ისინი მოითხოვენ 2 ახალი მუდმივი ადგილის შექმნას ლიგის საბჭოში. ამ მოთხოვნილების გამო შვეცია გახდა ლიგის საბჭოს დროებით წევრათ.

ამასთანავე კვინიონეს დე-ლეონმა აღნიშნა ის გარემოება, რომ შვეცია ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების წინააღმდეგ გამოდის იმის შემდეგ, როცა მან მუდმივი ადგილი მიიღო.

გამოუვალი მდგომარეობა.

პარიზი. 14 მარტი. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ჟენევაში შექმნილი მდგომარეობა გამოუვალია, მაგრამ გამოსთქვამს იმედს, რომ ბრიანი მოახერხებს კომპრომისის გამონახვას.

კომუნისტური „ჰიუმანიტე“ იუწყება, რომ განზრახულია სადაო საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა; ფიქრობენ კომისიის არჩევას ლიგის საბჭოს ახალი დებულების შესამუშავებლად.

მშვიდობიანობა, თუ ომი?

პარიზი, 14 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბრიანმა განაცხადა:

„ჩვენს წინაშე არის არა საფრანგეთ-გერმანიის დუელი, არამედ ერთა ლიგის გადამწყვეტი კრიზისი. მსოფლიო პოლიტიკა მახლობელ წლებში დაადგება მშვიდობიანობის, ან ომის ორიენტაციას. ლოკარნოს ხელშეკრულების ხელის მომწერ სახელმწიფოებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ შეთანხმების განსახორციელებლად საჭიროა გერმანიის შესვლა ლიგაში. დღეს ჩვენ რამოდენიმე ნაბიჯი გადავსდგით წინ, მაგრამ ჯერ ვერ ვნედივთ ფორმულას, რომელიც შეიძლება ერთხმად მიღებულ იქნას“.

ბრიანის განცხადება, რომ ლოკარნოს შეთანხმების განხორციელება დამოკიდებულია გერმანიის ერთა ლიგაში შესვლაზე, უკმაყოფილებას იწვევს მემარჯვენე წრეებში, რადგან ამაში ისინი ხედავენ ბრიანის გადაწყვეტილებას — ურჩიოს პოლონეთს და ბრაზილიას უკან წაიღონ თავიანთი მოთხოვნილებანი.

ბრიანის უნარის იმედი.

პარიზი, 14 მარტი. რადიკალურ პრესას წინანდებურათ ბრიანის „დიპლომატიური უნარის“ იმედი აქვს, მაგრამ მაინც არ მალავს, რომ ერთა ლიგის იდეამ სასტიკი დამარცხება განიცადა.

„ტანი“ ცხარობს.

პარიზი, 14 მარტი. „ტანი“ გაცხარებულია გერმანიის პოლიტიკით, რომელმაც საშინელი საფრთხე მოუმზადა ერთა ლიგას.

კომპრომისი.

პარიზი, 14 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ლოკარნოს ხელშეკრულების ხელის მომწერ სახელმწიფოების თათბირზე შემუშავებულ იქნა შემდეგი კომპრომისი: გერმანია იღებს მუდმივ ადგილს, პოლონეთი კი დროებითს. სექტემბერში საგანგებო კომისია შეიმუშავებს ახალ მუდმივი ადგილების შექმნის პროექტს.

გერმანიის დელეგაციას ჯერ არ გამოუთქვამს აზრი ამ კომპრომისულ წინადადების შესახებ.

მდგომარეობა კრიტიკულია.

ბერლინი, 14 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ლოკარნოს ხელშეკრულების ხელის მომწერ სახელმწიფოების მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

გერმანიის პრესის უკანასკნელი ცნობების თანახმად, მდგომარეობა კრიტიკულია, რადგან შვეცია და ბრაზილია, რომელთაც დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციები უჭირავთ, შეურყევლად იცავენ თავიანთ თვალსაზრისს.

გერმანიის პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ უთანხმოება ეხება არა მარტო გერმანიის, არამედ ერთა ლიგის ინტერესებსაც მთლიანად და რომ შვეციის წინააღმდეგობა არ არის გამოწვეული გერმანიის პოზიციით.

კომპრომისი უარყოფილია.

პარიზი, 14 მარტი. გერმანიის დელეგატებმა ბერლინის შეკითხვის შემდეგ უარყვეს ლოკარნოს შეთანხმების ხელის მომწერ სახელმწიფოების წინადადებანი.

მოლაპარაკება უნაყოფოა.

ლონდონი, 14 მარტი. რეიტერის სააგენტოს ჟენეველ კორესპონდენტთან საუბარში ჩემბერლენმა განაცხადა:

„ლიუტერის მიერ ჩვენი წინადადების უარყოფა უნაყოფოდ ხდის ყოველგვარ ცდას გაგრძელებულ იქნეს მოლაპარაკება“.

უკანასკნელი სიტყვა.

პარიზი, 14 მარტი. ჟენევის ჟურნალისტებთან საუბარში ბრიანმა განაცხადა:

„ჩვენ ვსთქვით ჩვენი უკანასკნელი სიტყვა, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანიას წინანდებურად სურს მარტო ის მოხვდეს ერთა ლიგის საბჭოში. **ლოკარნოს სული არ მომკვდარა, მაგრამ მას დამბლა დაეცა და, შეიძლება, დიდი ხნითაც. მე არ შემიძლია ვსთქვა, თუ რა იქნება ხვალ“.**

უშედეგოთ

ბერლინი, 15 მარტი. **ერთა ლიგის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე, რომელიც მოწვეულ იქნა გერმანიისათვის მისაღებ ფორმულების გამოსანახავად, ვერ იქნა მიღწეული სასურველი შედეგი.**

სანუგეშო არაფერია

ლონდონი, 15 მარტი. „დეილ მეილის“ ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს გრძელდებოდა მოლაპარაკება ერთა ლიგის მუდმივი ადგილების საკითხის გადასაჭრელად, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან გერმანიამ უარი სთქვა თავისი პოზიციის შეცვლაზე. **კორესპონდენტი ამბობს, რომ, როგორც ჟენევაში ფიქრობენ „დაუსრულებელ მოლაპარაკებიდან არაფერი კარგი არ გამოვა.**

საკითხი, სამშაბათს, დასმულ იქნება ლიგის საერთო კრებაზე, რომელზედაც, კორესპონდენტის სიტყვით, კრიზისის პასუხისმგებელმა მხარეებმა საქვეყნოთ უნდა გამოააშკარაონ თავისი ზრახვები“.

გერმანიის დელეგატების განცხადება

ლონდონი, 15 მარტი. **პრესის წარმომადგენლებთან საუბარში გერმანიის დელეგატებმა თავიანთი პოზიციის საფუძვლად გამოაცხადეს გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სთვლის, რომ მიმდინარე სესიის დროს ლიგის საბჭოში უნდა შევიდეს ერთი სახელმწიფო—გერმანია და, რომ არც ლიგის სტატუტს, არც სხვა რომელიმე ვალდებულებას გერმანიის მხრით, არ შეუძლია გაამართლოს მისი გადაწყვეტილების შეცვლა.**

ახალი ცდა

ლონდონი, 15 მარტი. უკანასკნელი დღის ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენად ჟენევაში სთვლიან გამოქვეყნებულ ცნობას, რომ შვეციამ და ბელგიამ, ცალ-ცალკე, უარი განაცხადეს თავიანთ არამუდმივ ადგილზე, პოლონეთის სასარგებლოდ. შვეციის მიმართ აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება პრინციპიალური ხასიათისაა და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს არამეგობრულ აქტს სხვა რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მუდმივ ადგილს [illegible]

თუმცა ამ საკითხის შესახებ არავითარი საბოლოო ცნობა არ არის მიღებული, მაგრამ, დღევანდელმა ცნობებმა, მაინც იმედი გაუღვიძეს ლონდონის პოლიტიკურ წრეებს.

შტრეზემანის წერილი

ლონდონი, 15 მარტი. „ჟურნალ დე ჟენევში“ შტრეზემანმა მოათავსა წერილი, რომელშიაც მოცემულია გერმანიის დელეგაციის თვალსაზრისის ამომწურავი ახსნა-განმარტება. როგორც შტრეზემანი აცხადებს, პოლონეთის საბჭოში შესვლის საკითხს ის პრინციპიალურ მნიშვნელობას არ აძლევს. ლიგის საბჭოში შესვლის შემდეგ, გერმანია აღ დაადებს ვეტოს წინადადებას საბჭოს გაფართოების შესახებ და მზად იქნება სადაო საკითხები საბჭოს სხვა წევრებთან ერთად გადასწყვიტოს. შტრეზემანი წინადადებას იძლევა, დაარსებულ იქნას ლიგის სპეციალური კომისია ამ საკითხების განსახილველად. კომისიამ მოხსენება უნდა წარმოადგინოს ივლისში, რათა საკითხები გარჩეულ იქნეს სექტემბრის სესიაზე.

თუ სექტემბერში პლენუმი აირჩევს რომელიმე სახელმწიფოს საბჭოში მუდმივი ადგილის დასაჭერად, გერმანია დასთანხმდება ამ გადაწყვეტილებაზე.

„განა შეიძლება ასეთი პოზიციის შემდეგ,— კითხულობს შტრეზემანი, გვისაყვედურონ, რომ გერმანია საფრთხეში აგდებს ლოკარნოს საქმეს“.

ბრიანი თათბირობს

პარიზი, 15 მარტი. საღამოს ბრიანს თათბირი ჰქონდა ლიუტერთან და შტრეზემანთან, რომლის დამთავრების შემდეგ, მან განაცხადა, რომ მდგომარეობა უცვლელი რჩება და რომ ის მოლაპარაკებას დილით განაახლებს.

შემდეგ, ბრიანმა მიიღო ესპანეთის წარმომადგენელი — კვინიონეს-დელეონი, სკშინსკი და ვანდერველდე.

საუზმე ლიუტერთან

ბერლინი, 15 მარტი. საუზმეზე, რომელიც ლიუტერმა გაუმართა ჩემბერლენს და მის ცოლს, საბოლოო შედეგი არ ყოფილა მიღწეული, თუმცა ჩემბერლენი და ლიუტერი 3 საათის განმავლობაში საუბრობდენ.

ბრაზილიის პოზიცია

ლონდონი, 15 მარტი. ბრაზილიის ელჩს ინგლისში ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ჩემბერლენთან. როგორც გადმოგვცემენ, ელჩმა განაცხადა, რომ ბრაზილია გამოვა ერთა ლიგიდან, თუ მას მუდმივი ადგილი არ დაუთმეს საბჭოში.

სამშაბათს

ლონდონი, 15 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს დღევანდელ საიდუმლო სხდომაზე დაადგინეს, ლიგის საერთო კრება მოწვეულ იქნეს სამშაბათს, იმისდა მიუხედავათ, იქნება მიღწეული შეთანხმება თუ არა.

თუ ამ კრების შემდეგ, გერმანია მოხსნის თავის კანდიდატურას, ერთა ლიგის საბჭოს წევრები მიუთითებენ იმ ზომებზე, რომელნიც, თუმცა უშედეგოთ, მათ მიიღეს გერმანიის ლიგაში მისაღებად.

სექტემბრისათვის

პარიზი, 15 მარტი. ჟენევაში წარმოიშვა ახალი წინადადება: **იმ შემთხვევაში, თუ მახლობელი კრება უშედეგოთ დარჩა, სექტემბრისათვის იქნეს გადადებული ყველა კანდიდატურები, მათ შორის გერმანიისაც.**

ბრიანი იმუქრება

პარიზი, 15 მარტი. ჟენეველ კორესპონდენტის სიტყვით,ბრიანმა, საღამოს, ასეთი პოზიცია დაიჭირა: **თუ სამშაბათამდე არავითარი კომპრომისი არ იქნა მიღწეული, საკითხი გადატანილი იქნება ერთა ლიგის საერთო კრებაზე და საფრანგეთი დაიბრუნებს მოქმედების თავისუფლებას და გადასწყვეტს ფორმალური ვეტო დაადოს გერმანიის კანდიდატურას საბჭოში.**

ბრიანი იგვიანებს ჟენევაში

პარიზი, 15 მარტი, ჟენევაში შექმნილ გართულების გამო, ბრიანმა ითხოვა დეპუტატთა პალატის მახლობელი სხდომა ხუთშაბათამდე გადაიდოს.

კამპანია ბრიანის წინააღმდეგ

პარიზი, 14 მარტი. ახალი მთავრობა დეპუტატთა პალატაში დეკლარაციას წაიკითხავს 16 მარტს.

მემარჯვენე გაზეთები გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ შინაგან საქმეთა მინისტრის მალვის წინააღმდეგ და იგონებენ მის გასამართლებას უზენაეს სასამართლოს მიერ. ცნობილია, რომ 1917 წელს მალვის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, მაშინდელი დიქტატორის კლემანსოს მეთაურობით, მოახერხეს მისი სამართალში მიცემა სახელმწიფოს ღალატისათვის, ვითომდა მტერთან ურთიერთობის დაჭერის გამო. მალვი ესპანეთში გადაასახლეს. შემდეგ მემარცხენე ბლოკის მთავრობამ მალვის ამნისტია გამოუცხადა. მემარჯვენე წრეებში ამტკიცებენ, რომ ბრიანმა მალვი მოიწვია თავის სურვილის გარეშე, ერიოს მოთხოვნით, რომელიც ამ გზით ცდილობდა ხელი შეეშალა ბრიანისათვის, რომ უკანასკნელი მემარჯვენეებს დაყრდნობოდა.

ფინანსთა მინისტრს რაულ პერეს, რომელსაც მემარჯვენეები მხარს უჭერენ, თავს ესხმიან მემარცხენეები.

კაიოს განცხადება.

პარიზი, 14 მარტი. „ავენირის“ (მილიერანის ორგანო) თანამშრომელთან საუბარში, კაიომ განაცხადა, რომ მან უარი სთქვა კაბინეტში შესვლაზე, რადგან მის მიერ შემუშავებული ფინანსიური გაჯანსაღების გეგმა სცილდება ფინანსთა სამინისტროს და თვით საფრანგეთის საზღვრებს. ამ გეგმის განსახორციელებლად ფინანსთა მინისტრმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მთელს პოლიტიკას. უკანასკნელ დროს მემარჯვენე წრეები ნაკლებ მტრულად ეპყრობიან კაიოს.

ჩინეთის ამბები

იაპონიის ნაღმოსნები.

პეკინი, 14 მარტი. 12 მარტს იაპონიის 2 ნაღმოსანი შეეცადა ტაკუს ნავთსადგურში შესვლას, **მაგრამ მათ ყუმბარები დაუშინეს ფორტებიდან. ნაღმოსნებმა უკან დაიხიეს.**

ინგლისურ გაზეთ „პეკინ ენდ ტიან-ცზინ ტაიმსის“ ცნობით, **ნაღმოსნები სცდილობდენ ნავთსადგურში სავაჭრო გემების გატარებას, მიუხედავად ტიან-ცზინის გარნიზონის კომანდირის განკარგულებისა.** ჯერჯერობით არ იციან, როგორ შეხვდება ამ ინცინდენტს იაპონიის მთავრობა. გაზეთი სცდილობს ამ ინცინდენტის გაზვიადებას და უწოდებს მას სახალხო არმიების „მტრულ აქტს“ იაპონიის წინააღმდეგ.

„სერიოზული მნიშვნელობა“.

ტოკიო, 14 მარტი. „კოკუსაის“ სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრო დიდ მნიშვნელობას აძლევს იაპონიის ნაღმოსნებისათვის ყუმბარების დაშენას ტაკუს ფორტებიდან.

ჩინეთის პასუხისმგებლობის საკითხი აღძრული იქნება მაშინ, როდესაც იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრო მიიღებს დაწვრილებით ცნობებს ტიან-ცზინიდან.

ერთი ნაღმოსანი დაჭრილებითურთ მოვიდა პორტ-არტურში, დანარჩენები დგანან ტაკუში და მოელიან ინსტრუქციებს.

უ-პეი-ფუს ძალები.

ლონდონი, 14 მარტი. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, შან-სის პროვინციის გუბერნატორი შეუერთდა უ-პეი-ფუს, რომელსაც ჰყავს ამჟამად 60.000 შეიარაღებული ჯარისკაცი.

პოლონეთის ამბები

სიმშილობა ტარნოვოს ციხეში.

ლონდონი, 14 მარტი. ტარნოვოში სიმშილობა გამოაცხადა 18 პოლიტიკურმა პატიმარმა, რომელთაც 7 კვირის განმავლობაში საშინელ პირობებში ამყოფებენ და ბრალდებას არ უყენებენ. პატიმრები მოითხოვენ გამოძიების დაჩქარებას, საბრალმდებლო აქტების ჩაბარებას და იმ პროვოკატორებთან დაპირისპირებას, რომელთა დაბეზღებით ისინი დაპა- [illegible]

პატიმრები იხოცებიან.

ვილნო, 14 მარტი. **გროდნოს საკატორღო ციხეში 4 კვირის დაპატიმრების შემდეგ გარდაიცვალა ბელორუსიის რევოლიუციონერი რადკევიჩი.**

ამავე ციხეში ამას წინად გარდაიცვალა სამი ბელორუსელი გლეხი, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვნენ 1921 წლიდან პოლონელი პოლიციელის მოკვლისათვის.

რა ხდება გერმანიაში

„დაუესის სული“

ბერლინი, 14 მარტი. ბერლინის საოლქო სასამართლოში ირჩეოდა საკითხი—არის თუ არა სავალდებულო გერმანიის რკ. გზათა დირექციისათვის შრომის სამინისტროს სამედიატორო გადაწყვეტილება რკინისგზელთათვის სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება დირექციის სასარგებლოთ, იმ მოსაზრებით, რომ რკ. გზები განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან და არ შეუძლიათ დაემორჩილონ შრომის სამინისტროს გადაწყვეტილებას: გერმანიის რკინის გზები, სარკინისგზო კანონის თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა დაუესის გეგმასთან დაკავშირებით, გადაეცა სააქციონერო საზოგადოებას, რომლის აქციების ნაწილი მოკავშირეებს მიეცა სარეპარაციო გადასახადების უზრუნველსაყოფად.

კლასიური იუსტიცია

ბერლინი, 14 მარტი. ჰალეში სასამართლომ განაჩენი გამოუტანა რკ.-გზელთა პროფკავშირის ერთ-ერთ ლიდერს ერნესტ მენეს, რომელიც ხელმძღვანელობდა გერმანიის რკ.-გზელთა საერთო გაფიცვას 1922 წელს. რკ. გზათა დირექციამ ჰალეში მენეს წარუდგინა 24.000 მან. სარჩელი გაფიცვისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. სასამართლოს დადგენილებით მენემ უნდა გადაიხადოს 4.000 მარკა. გუშინ დაბეჭდეს მენეს ბინა ბერლინში.

ასეთივე სარჩელი წარუდგინეს მენეს სხვა რკინისგზებმაც, სულ 150.000 მარკის რაოდენობით.

ფერენბახის ავადმყოფობა

ბერლინი, 14 მარტი. ყოფილი რეიხსკანცლერი, ამ ჟამად ცენტრის პარტიის თავმჯდომარე ფერენბახი მძიმედ ავად არის. ექიმებს ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნიათ.

10 და 15 პროცენტი

ბერლინი, 14 მარტი. თანდათან იზრდება ხელის მომწერთა რიცხვი, რომელიც საჭიროა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების აუნაზღაურებლად კონფისკაციის საყოველთაო კენჭის ყრისათვის. აქამდის კანონპროექტს ხმა მისცა ამრჩეველთა 15 პროცენტმა, მაშინ როცა კენჭის ყრის გატარებისათვის საჭიროა 10 პროცენტი.

პროფკავშირების ყრილობის შედეგები

ერთი კვირის მუშაობის შემდეგ დამთავრდა საქართველოს პროფესიონალური კავშირების მეხუთე ყრილობა. მთავარი, რაც ახასიათებს ამ ყრილობას, ეს არის ის, რომ იგი ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა. ყრილობის 400 დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდენ მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებს, ყველა გამოუკლებლივ იღებდენ მონაწილეობას საკითხების გარჩევაში და გადაწყვეტილებათა მიღებაში.

ყრილობის მსვლელობაში ორი მთავარი მომენტი იყო: პირველი—ჩატარებული მუშაობის ჯამის გაკეთება და მეორე—მომავალი მუშაობის გეზის აღება და იმ ამოცანების დასახვა, რაც უახლოეს დროში უნდა განახორციელონ პროფესიულ კავშირებმა.

ჩატარებულ მუშაობის შესახებ ყრილობამ აღნიშნა ფრიად ღირსშესანიშნავი მიღწევები საქართველოს პროფესიულ მოძრაობაში. მიღწევები აღნიშნული იყო როგორც ხუთი წლის მუშაობაში, ისე ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაშიაც.

ეს მიღწევები მრავალნაირია, სახელდობრ: კავშირების წევრთა რიცხობრივი გადიდება, მასების აქტივობის არაჩვეულებრივი განვითარება, პროფესიულ მომუშავეთა აქტივის ფრიად საგრძნობი ზრდა, კავშირების ორგანოების მასებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება, პროფესიულ მუშაობის უაღრესად დემოკრატიულ ფორმებში ჩამოყალიბება, კავშირების წევრთა შორის კულტურულ მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის საგრძნობი გაზრდა და მათი მატერიალური და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

ერთ-ერთი მთავარი მიღწევა, რომელიც ყრილობამ აღნიშნა, გამოიხატება სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასთან კავშირის უაღრესათ განმტკიცებაში და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროლეტარიატთან დაახლოვებაში—მუშათა დელეგაციების საშუალებით და მათთან კავშირის გაბმით. ძმური კავშირი ყველა ქვეყნების პროლეტარებთან და მათთან ერთად ბრძოლა საბოლოო მიზნის განსახორციელებლად,—აი ის, რაც მტკიცედ და ერთხმათ სთქვა საქართველოს პროფკავშირების ყრილობამ.

ყრილობამ, კავშირების მუშაობის მიღწევების აღნიშვნასთან ერთად, დასახა მომავალი მუშაობის გეგმა. ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებში გარკვევით და დაწვრილებით არის აღნუსხული, თუ როგორ უნდა მოიქცენ და რა უნდა გააკეთონ კავშირებმა ყველა დარგებში—საორგანიზაციო, სატარიფო - საეკონომიო და კულტურულში. დადგენილებები მიუთითებენ აგრეთვე ყველა იმ ნაკლულევანებების გამოსწორებაზე, რაც შემჩნეული იყო სხვადასხვა კავშირების მუშაობაში.

აქ შევეხებით მხოლოდ დადგენილებათა იმ ნაწილებს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანი არიან.

სატარიფო-საეკონომიო საკითხებში ყრილობამ აღნიშნა, რომ **შრომის ხელფასის** ფრთხილი და გეგმიანი პოლიტიკით ჩვენ გვაქვს რეალური ხელფასის შედარებით საგრძნობი ზრდა და რომ ის თითქმის უდრის ომამდე არსებულ ხელფასს. შემდეგშიაც საჭიროა ასეთი ფრთხილი პოლიტიკა. მიმდინარე სამეურნეო წელში, რამდენათაც სახელმწიფო მეურნეობა განიცდის ერთგვარ დაბრკოლებებს განვითარების ტემპის შენელების გამო, ნომინალური ხელფასის მომატების მაგივრათ უნდა მიექცეს ყურადღება ხელფასის რეალურ მნიშვნელობის გადიდებას საბაზრო ფასების შემცირებით და ფულის სყიდვითი ძალის განმტკიცებით. ამასთანავე ყრილობამ საჭიროდ სცნო მიღებულ იქნეს ზომები ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდებისათვის (მასწავლებლები, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი მუშაკები და სხვ.). უნდა იქნეს აგრეთვე მიღებული ზომები, რომ ერთ და იგივე წარმოებაში არაკვალიფიკაციურ და კვალიფიკაციურ მუშებს შორის შემცირდეს ის დიდი განსხვავება ხელფასში, რომელიც გამოწვეულია სანარდო მუშაობით. ამისათვის დამხმარე და არა ნარდათ მომუშავეთ უნდა ეძლეოდეთ ნარდად მომუშავეთა დამუშავების განსაზღვრული პროცენტი, პრემიალური და სხვ.

ყრილობამ აღნიშნა სამუშაო ხელფასის დაგვიანებით გაცემის გახშირება და დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები ამის წინააღმდეგ, როგორც, მაგ., ხელფასის ფონდების სხვა საქმეებზე დახარჯვისათვის პასუხისგებაში მიცემა და სხვ. ყრილობამ აღნიშნა აგრეთვე დაწესებულებებში სპეციალისტთა რიცხვის არაკვალიფიციურ მოსამსახურეთა ხარჯზე გაბერვის წინააღმდეგ ზომების მიღების აუცილებლობა.

კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების საკითხებში მიღებული იყო დადგენილება, რომლის თანახმად ხელშეკრულების პროექტი წინასწარ უნდა იხილებოდეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე არა მარტო თბილისში, არამედ მაზრებშიაც, აქამდე კი ზოგიერთი კავშირების ცენტრალური გამგეობები მაზრებისათვის დასადებ ხელშეკრულებას არ არჩევდენ მაზრებში მყოფ წარმ.-დაწესებულების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. აგრეთვე საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ხელშეკრულებაში სხვადასხვა პირობების შეტანის წინ უძღოდეს წარმოების მდგომარეობის შესწავლა და ამის მიხედვით უნდა ხდებოდეს მოთხოვნილებათა წამოყენება. დაუსაბუთებელ და წარმოების მდგომარეობასთან შეუფარდებელ მოთხოვნილებების წამოყენებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

სოფლად შრომის ხელშეკრულების დადებისას კავშირებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე და პირობების დაწესების დროს მხედველობაში უნდა მიიღონ დამქირავებლის მეურნეობის მდგომარეობა და შესაძლებლობაზე გადამეტებული მოთხოვნილება არ წამოაყენონ.

ეკონომიურ მუშაობის საკითხებში ყრილობამ მიუთითა კავშირებს ამ მუშაობის გაღრმავების საჭიროებაზე. კავშირები უნდა იღებდენ მონაწილეობას უმეტეს ნაწილათ იმ სამეურნეო საკითხების გადაჭრაში, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულია ხელფასის საკითხებთან და გავლენას ახდენენ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობაზე, მათ შრომის დაცვაზე და წარმოების გაუმჯობესებაზე. უნდა მიექცეს ყურადღება მუშების სამეურნეო თანამდებობებზე წამოყენების გაფართოების საკითხს. უნდა გაძლიერდეს საწარმოო თათბირების მუშაობაც, კავშირებმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მათ, რამდენადაც საწარმოო თათბირებს მასების საწარმოო აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვთ და მათ, ამას გარდა, კიდევ ბევრი სარგებლობა მოაქვთ სახელმწიფო წარმოებათათვის.

დაწვრილებით აღინიშნა ყრილობის დადგენილებაში **საკონცესიო წარმოებებში** კავშირების მუშაობის ხასიათი. ყრილობამ სთქვა, რომ კავშირების ამოცანები სახელმწიფო და საკონცესიაო წარმოებებში განსხვავდებიან. საკონცესიო წარმოებაში კავშირების მთავარი ამოცანა გამოიხატება მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიურ ინტერესების დაცვაში კლასიურ ბრძოლის მეთოდების საშუალებით. ამასთან ერთად, კავშირებმა თავიანთი მოქმედება უნდა შეუთანხმონ იმ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო კონცესიონერების მიმართ აწარმოებს. კოლექტიურ ხელშეკრულების და შრომის კანონების დარღვევის არ დაშვება, ოფიციალური დამოკიდებულება კონცესიონერთან, კონფლიქტების გადაჭრისათვის უკავშიროთ გამოსვლის დაგმობა, კავშირების ძირითად ორგანიზაციების უაღრესად გაძლიერება და სხვ.,—აი რაზე შეჩერდა ყრილობა პროფკავშირების საკონცესიო მუშაობის საკითხებში.

საკონფლიქტო საქმეებში ყრილობამ აღნიშნა, რომ კონფლიქტების საკითხები კავშირებისათვის ერთ მნიშვნელოვან მუშაობას წარმოადგენს, რამდენადაც კონფლიქტების სწორათ და თავის დროზე გადაჭრა ნიშნავს მუშა-მოსამსახურის ინტერესების დაცვას. ყრილობამ დაჰგმო ზოგიერთი კავშირების ადმინისტრატიული გადახრები კონფლიქტების გარჩევის საკითხებში და აღნიშნა, რომ კავშირები კონფლიქტების გადაჭრის დროს უნდა გამოდიოდენ მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დამცველ მხარეთ.

უმუშევრობის საკითხში ყრილობამ აღნიშნა, რომ წარმოებაში ჩაბმულთა რიცხვი იზრდება, კავშირის წევრთა შორის კი უმუშევრობა არ ნელდება. ამიტომ საჭიროა, რომ კავშირებმა არ დაუშვან ხელშეკრულებების იმ მუხლის დარღვევა, სადაც ნათქვამია კავშირის წევრის პირველ რიგში მიღება.

საორგანიზაციო საკითხებში ყრილობამ იცნო საჭიროთ მასიურ მუშაობის უფრო მეტად გაღრმავება და განვითარება, დაბალ და ხელმძღვანელ ორგანოებში აქტივის გაფართოვება ახალი კადრის ჩაბმით, კავშირების წევრთა მიღების გაფართოვება, არჩეულ პროფორგანოების მასების წინაშე პასუხისმგებლობის გაძლიერება, ადმინისტრატიულ და სამეურნეო გადახრის მოსპობა; კავშირების ორგანოების განტვირთვა იმ საქმეებისაგან, რომელნიც მათ არა აქვთ დავალებული; საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების დეცენტრალიზაცია და მათი რწმუნების ერთი წლით გადიდება აქამდე არსებულ ექვსი თვის მაგივრათ; კავშირის წევრობიდან გამორიცხვის საკითხებში სიფრთხილის გამოჩენა; კავშირის რიგების წმენდის მოსპობა და სხვა.

კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საკითხებში ყრილობამ საჭიროთ სცნო კულტკომისიების მუშაობის გამოცოცხლება; ახალი კლუბების მშენებლობა; საკლუბო მუშაობის გაძლიერება მასების ნებაყოფლობის და აქტივობის საფუძველზე; კლუბის მუშაობის გაღრმავება-გაფართოება, რათა მოზრდილმა მუშებმა შესძლონ დასვენება და ჯანსაღად გართობა; მასების მხატვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, წრეების მუშაობის გაძლიერება და მათი ხელმძღვანელების უფრო უკეთესათ შერჩევა; საბიბლიოთეკო მუშაობის განვითარება სტაციონალურ და მოძრავ ბიბლიოთეკების მოწყობით და საბიბლიოთეკო მუშაკების მომზადებით; ფიზკულტურის მუშაობის გაძლიერებისათვის შესაფერი თანხების გაღება; საექსკურსიო საქმის სათანადოთ დაყენება; სამაზრო ცენტრებში მუშათათვის ეკრანების ქსელის გაფართოება; კვალიფიკაციურ მუშების მოსამზადებლად პროფტეხნიკური კურსების გეგმაშეწონილი ორგანიზაცია; მასებისათვის მისაწვდომ და პოპულიარულ ლიტერატურის გამოცემის გაფართოვება და სხვა.

აი მოკლეთ ის, რაც გადასწყვიტა პროფკ. კავშირების ყრილობამ. ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო გამოაცოცხლებს კავშირების მუშაობას; ამიტომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მათ სწორათ და მთლიანათ განხორციელებას.

ს. ვ.

საბჭოთა პრესა

როგორ უნდა გავაიაფოთ საქონელი

საქონლის გაიფების და მომხმარებლისათვის მისი უშუალოდ მიწოდების საკითხი ისევ მწვავედ სდგას. კოოპერაციას ევალება მასზე მრეწველობის მიერ გადაცემული საქონელი გაანაწილოს მხოლოდ თავისი ქსელის საშუალებით და არ დაუშვას მისი კერძო ვაჭრებზე გაყიდვა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული კოოპერაციის ზედნართი ხარჯების შემცირებას.უნდა იქნას დაცული სასტიკი ეკონომია, რათა არც ერთი ზედმეტი კაპეიკი არ დაიხარჯოს გაბერილ შტატზე, გაუმართლებელ მივლინებაზე, დეპეშებზე, რეკლამებზე; შეუძლებელი უნდა გახდეს წარა-მარა ავანსების გაცემა თანამშრომლებზე, ანგარიშვალდებულ თანხების გაჩერება მათ ხელში და მრავალი სხვა, რაც აძვირებს საქონლის თვითღირებულებას. აუცილებელ ზედნართ ხარჯებს განსაზღვრავს ე. წ. პარიტეტული კომისია, კოოპერაციის და მრეწველობის წარმომადგენელთა შემადგენლობით. იგი იკვლევს თითოეულ რაიონის თავისებურებათ და ამის მიხედვით აწესებს ზედნართ ხარჯებს, რომელთა გადიდების უფლება არა აქვს კოოპერატიულ ორგანიზაციას.

„ზედნართი ხარჯების რაოდენობის დაწესებასთან დაკავშირებით—სწერს: **„ბედნოტა“,**—თითოეული კავშირი და თითოეული ძირითადი კოოპერატივი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავიანთ ხარჯების გადასინჯვას და მათგან ისეთების მკაცრ შემცირებას, რომელნიც არ არიან აუცილებელნი. ეკონომია ყველაფერში,—ასეთია სახელმძღვანელო აზრი აპარატის მოწყობის და საშუალებათა ყოველგვარი ხარჯვის დროს. აპარატი უნდა იყოს მოქნილი და სავსებით დატვირთული.

ზედნართ ხარჯებთან ბრძოლაში, ბრძოლაში მომჭირნეობისათვის და ამ გზით საცალო ფასების დაკლებისათვის უნდა იქნეს ჩაბმული კოოპერატიულად შეკავშირებული მოსახლეობის ფართე წრეები.

სასოფლო კოოპერატივის და სარევიზიო კომისიის წევრებმა, საბჭოებმა უნდა იცოდნენ: 1) რამდენი საქონელია კოოპერატივში მიღებული და სად გაიყიდა; 2) როგორია ნაყიდი, როგორია თვითღირებულება და რამდენია დამატებული; 3) რისგან შესდგება საორგანიზაციო-სავაჭრო ხარჯები და რა ზომებია გამგეობის მიერ მიღებული მათ შესამცირებლად; 4) როგორია მოგების ნორმა.

არა მარტო უნდა იცოდნენ, არამედ ყოველნაირად დაეხმარონ და მოითხოვონ, რათა ზედნართი ხარჯები შემცირებულ იქნას, რათა ყველაფერში დაცულ იქნას ეკონომია და საცალო ფასები განუწყვეტლივ კლებულობდნენ, ხოლო საქონელი უშუალოდ მისდიოდეს მომხმარებელს და კერძო შუამავალს არ ჩაუვარდეს იგი“.

დღეს ფართეთ იშლება კამპანია ეკონომიისათვის, ზედნართი ხარჯების მაქსიმალური შემცირებამოსპობისათვის. ეს ეხება ჩვენი მშენებლობის ყველა დარგებს, მათ შორის კოოპერაციასაც, რა თქმა უნდა, საცალო ფასების დაკლებისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოოპერაციაში, მაგრამ იგი შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ თვით შეკავშირებული მომხმარებელი აქტიურად არ ჩაება ამ საქმეში, თუ მან ცხოველი მონაწილეობა არ მიიღო კოოპერაციის ყოველდღიურ საქმიანობაში და ფხიზელი კონტროლი არ გაუწია მას. მასსის კოოპერატიული თვითმოქმედება—საფუძველია კოოპერაციის გაჯანსაღების.

პროფინტერნის ცენტრ. საბჭოს სესია

ჰელლერის მოხსენება წყნარ ოკეანეს კონფერენციის შესახებ

მოსკოვი, 15 მარტი. 13 მარტს პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესიაზე ჰელლერმა წაიკითხა მოხსენება წყნარ ოკეანის კონფერენციის შესახებ.

ჰელლერმა აღნიშნა წყნაროკეანეს ნაპირებზე მდებარე ქვეყნების უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში. მთავარ როლს აღმოსავლეთში ამჟამათ თამაშობს ინგლისი, იაპონია და ამერიკა. რეფორმისტულ მუშათა მოძრაობის მოღვაწეები სცდილობენ აღმოსავლეთი საერთაშორისო რეფორმიზმის გზაზე გადაიყვანონ. ამით აიხსნება ინგლისის მუშათა პარტიის ინტერესი ინდოეთისადმი და ის გარემოება, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი მხარს უჭერს მომბეის ფეიქართა გაფიცვას.

ამჟამად გადადგმულია ნაბიჯები პროფმოძრაობის გაერთიანებისაკენ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, და სიდნეის საბჭოს თაოსნობით მოწვეული იქნება წყნაროკეანეს კონფერენცია, რომელიც უდიდეს როლს შეასრულებს ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იტყვის თავის სიტყვას პროფკავშირთა და საგაფიცვო მოძრაობის ლეგალიზაციის შესახებ.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ემიგრაციის საკითხის გადაჭრა.

ლი-ჩანი ჩინეთის პროფმოძრაობის შესახებ

ჰელლერის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლი-ჩანმა. მან აღნიშნა, რომ ჩინეთის პროფმოძრაობას აქვს რევოლიუციონური ხასიათი. ეს აიხსნება ჩინეთის მუშების მძიმე პირობებით, ოქტომბრის რევოლიუციის გავლენით და ჩინეთის კომპარტიის მუშაობით. ჩინეთის პროფმოძრაობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს კლასთა ურთიერთშორის სირთულე ჩინეთში. არა მარტო გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, არამედ მსხვილი ბურჟუაზიაც ხშირად ხელს უწყობს ჩინელ მუშების ბრძოლას უცხოეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ბოლოს, ჩინეთის პროფმოძრაობის დამახასიათებელ პირობას ეკუთვნის აგრეთვე პოლიტიკური ჩაგვრა, რაც აიხსნება მტკიცე ცენტრალურ ხელისუფლების უქონლობით.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩინეთში დაიწყო რეფორმისტების აქტიური მუშაობა, საჭიროა ეხლავე იქნას მიღებული სათანადო ზომები ამ საფრთხის წინააღმდეგ.

ჩინეთის მდგომარეობის სირთულე ორკეცდება კიდევ იმ გარემოებით, რომ შეიარაღებული ბრძოლა ჩინეთის მილიტარისტებს შორის ქმნის მეტად მძიმე პირობებს პროფკავშირთა მუშაობისათვის.

რაც შეეხება ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, იგი ჩინეთში გამოყენებულ უნდა იქნეს ორი მიმართულებით: ერთის მხრივ უნდა შეიქმნას ანტიმილიტარისტული ფრონტი და მუშათა მოძრაობაში უნდა ჩაებან გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები, მეორეს მხრივ უნდა სწარმოებდეს მუშაობა ჩინეთის პროფკავშირთა გასაერთიანებლად.

საფრანგეთის დელეგაციის დეკლარაცია

ლი-ჩანის სიტყვის შემდეგ საფრანგეთის დელეგაციის სახელით დეკლარაციით გამოვიდა სიმონენი, რომელმაც განაცხადა, რომ შრომის უნიტარული კონფედერაცია გამსჭვალულია ღრმა სიმპატიისა და ძმური სოლიდარობის გრძნობით ჩინეთის პროლეტარიატისადმი და ღებულობს ჩინელ პროფკავშირების მიპატიჟებას, მათ უახლოეს ყრილობაზე.

პროფინტერნის დელეგაცია ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობაზე

ფიგატერმა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების სახელით განაცხადა, რომ მასში აღტაცებას იწვევს ბრწყინვალე მიღწევები ჩინეთის მუშათა მოძრაობის, რომელშიაც ჩაბმულია მთელი ჩინეთის პროლეტარიატის 20 პროცენტზე მეტი, ფიგატნერი აღნიშნავს ერთგვარ მგზავსებას ჩინეთის და საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის ისტორიაში და განვითარებაში და წინადადებას აძლევს პროფინტერნის საბჭოს გააგზავნოს თავისი დელეგაცია ჩინეთის პროფკავშირთა მომავალ ყრილობაზე. ფიგატნერის წინადადება ყრილობამ ერთხმად მიიღო.

მოსკოვი, 15 მარტი. პროფინტერნის ცენტრალურმა საბჭომ, რომელიც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას აძლევს ჩინეთის პროფკავშირების მძიმე ბრძოლას ჩინეთის ხალხის ნაციონალურ და სოციალურ განთავისუფლებისათვის და საჭიროდ სთვლის რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას დასავლეთის და აღმოსავლეთის მუშათა მოძრაობას შორის,—დაადგინა საერთაშორისო დელეგაცია გაგზავნოს სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობაზე, რომელიც უნდა შესდგეს მაისის დამდეგს ტიან-ცზინში. დელეგაციაში შედიან: დელეგაციის თავმჯდომარე — პროფინტერნის გენერალური მდივანი და საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლოზოვსკი, დელეგაციის წევრები—ინგლისის უმცირესობის ნაციონალურ მოძრაობის აღმასკომის თავმჯდომარე ტომ მანნი, საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანი რიკამონი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი და სრულიად რუსეთის მელითონე მუშათა კავშირის თავმჯდომარე ლეპსე და ერთი წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატების მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთიდან.

მისალმება მოქმედების კონფერენციას

პროფინტერნის ცენტრალურმა საბჭომ მისალმება გაუგზავნა მოქმედების კონფერენციას, რომელიც ლონდონში იხსნება—მისალმებაში ნათქვამია, რომ ყველა ქვეყნის რევოლიუციონერი მუშაკი ძმურ თანაგრძნობას უცხადებენ ინგლისის პროლეტარიატს, რომლის ელემენტარული მონაპოვარი ამჟამად გაბატონებულ კლასების შემოტევა საფრთხეში აგდებს, მხნე სამთომადნო მუშებს უპირებენ ლახვარის ჩაცემას, რაც ამავე დროს ლახვრის ჩაცემაა მთელი ინგლისის პროლეტარიატის გულში. პროფინტერნი დარწმუნებულია, რომ პროფინტერნის მომხრეები ინგლისში მოწინავე რიგებში იდგომებიან ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ინგლისის მუშათა მასები და მათი პროფკავშირები საკმაო სიმხნევეს, ენერგიას და შორსმჭვრეტელობას გამოიჩენენ იმისათვის, რომ ერთიანი ფრონტით გამოვიდენ და მოიგერიონ საფინანსო-და სამრეწველო ოლიგარხიის დავლასხმა.

ნინის და ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა

12 მარტს პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესიაზე ნინის და ლოზოვსკის მოხსენებების გარშემო კამათის დასრულების შემდეგ ნინმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ რევოლიუციონურ პროფმოძრაობის მუშაკებს შორის მნიშვნელოვან უთანხმოებას ადგილი არ აქვს. „ჩვენ—ლაპარაკობს ის—უნდა განვაგრძოთ მასების დაპყრობა, რისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ მუშების უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და მუშათა კლასის მთლიანობისათვის კაპიტალის საწინააღმდეგო ბრძოლაში".

ლოზოვსკიმ საბოლოო სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მთლიანობა—არის არა საგანი თავისთავად, არამედ გარკვეული კონკრეტიული საშუალება ბრძოლისა მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთლიანობა ფეტიშად არ უნდა გავხადოთ. იქ, სადაც მუშაობა რეფორმისტულ ორგანიზაციებს შორის შეუძლებელია ან ნაკლებ მიზანშეწონილია, მაგალითად, ამჟამად იტალიაში, სადაც შრომის საყოველთაო კონფერენცია მრავალმილიონიანი პროლეტარიატიდან მხოლოდ 15,000 მუშას აერთიანებს, იქ საჭიროა მუშაობა კონფედერაციის გარეშე, იქ უნდა დავაარსოთ მოქმედების კომიტეტები, ურთიერთ დახმარების კომიტეტები და სხვ. უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი მუშაობის მთავარი ნაკლი. ჩვენი პარქტიკული მუშაობა ჩამორჩა პოლიტიკურს. საჭიროა მასების დაპყრობა გულმოდგინე შავი მუშაობის შემწეობით. წარმოებებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა, მასებისკენ!—აი ჩვენი ლოზუნგები, რომელნიც ახლავე უნდა განვახორციელოთ.

მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია

ულან-ბატორი, 14 მარტი. ახლო მომავალში საბჭოთა კავშირში მიემგზავრება მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია, რომლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ცხოვრებას და საბჭოთა კავშირის მიღწევებს სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის დარგში.

მელიძეს მიუსაჯეს ერთი თვის ციხე

ნემსის ჩხვლეტის პოლიტიკა

მექსიკო, 14 მარტი. მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს პესტკოვსკის, რომ მექსიკის შრომის რეფორმისტულ ფედერაციის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიღებული მტრული რეზოლიუცია ვერ დაარღვევს მეგობრულ ურთიერთობას ამ ორივე სახელმწიფოებს შორის. მინისტრს სახეში ჰქონდა შრომის ფედერაციის მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია. ამ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა ატტაშემ მექსიკის მისიასთან მოსკოვში, მარტინელომ. უკანასკნელის მოხსენება მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ოსმალეთის ელჩების კონფერენცია

პრაგა, 14 მარტი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „პრაგერ ტაგებლატტ"-ი იუწყება, რომ მარიენბადში სამკურნალოთ ჩამოსულმა ეროვნულ თავდაცვის კომისარმა რეჯი-ბეიმ მოიწვია ოსმალეთის პარიზელი, ბერლინელი და ვენელი ელჩები კონფერენციაზე, რომელიც პრაგაში შესდგება. ინგლისის გაზეთი იუწყება აგრეთვე, რომ საელჩოს წევრმა პრაგაში ინახულა რეჯი-ბეი.

გაზეთი დაასკვნის, რომ ოსმალეთის ელჩთა კონფერენცია განიხილავს მოსულის საკითხს.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

რეზოლიუცია ამხ. ზინოვიევის მოხსენების გამო.

მოსკოვი, 15 მარტი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის სხდომაზე 13 მარტს, მიღებულ იქნა რეზოლიუცია ზინოვიევის მოხსენების გამო. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ კომინტერნის აღმასკომს და მის სექციებს დიდი მუშაობა გაუწევიათ პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტის შექმნისათვის, ინგლისის და ჩინეთის ბოლშევიზაციისა და გერმანიის პარტიის განმტკიცების საქმეში. რეზოლიუცია აუცილებლად სთვლის შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის განხორციელებას და კომპარტიის ნამდვილ მასიურ პარტიებად გადაქცევას.

მიღებულია აგრეთვე რეზოლიუციები სხვა საკითხების შესახებაც.

პლენუმის საბოლოო სხდომა 14 მარტს შესდგება.

კოოპერატიული თათბირი

მოსკოვი, 14 მარტი. ამ დღეებში შესდგა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის კოოპერატიული თათბირი, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნების კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ კორნბლიუმმა მოხსენება წაიკითხა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიები აქამდე უმეტესად თავის საკუთარ რიგების განმტკიცებაზე ზრუნავდენ. ეხლანდელი პლენუმი, რომელიც ტარდება მასების დაპყრობისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ, უსათუოდ ხელს შეუწყობს კოოპერაციის მუშაობის გაღრმავებას.

კომინტერნის აღმასკომი ამ უკანასკნელ დროს დიდ ყურადღებას აქცევს კოოპერაციის მუშაობას. თათბირმა ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ კოოპერაციის მუშაობა ჩვენმა პარტიებმა პირველ რიგში დააყენონ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ამერიკის, ბელგიის, ნორვეგიის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ინგლისის და იტალიის წარმომადგენლებმა.

კომინტერნის აღმასკომის კოოპერატიული სექციის სახელით ილაპარაკა ბიტელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრაქტიკული ამოცანები, რომელიც კოოპერატიულ სექციის წინაშე დასვა კომუნისტ-კოოპერატორების მეორე საერთაშორისო კონფერენციამ, თითქმის სავსებით შესრულებულია. მომავალში საჭიროა კომუნისტების მასიური ჩაბმა კოოპერაციაში, კომფრაქციების მუშაობის გაცხოველება და გავლენის მოპოება კოოპერაციის წევრების შორის, მათი უშუალო ინტერესების დაცვის ნიადაგზე.

კორნბლიუმმა თათბირის დახურვის იმედი გამოსთქვა, რომ ჩვენი სისტემატიური მუშაობა კოოპერაციაში დასძლევს პარტიის წევრთა ინდიფერენტიზმს და უზრუნველჰყოფს კომუნისტების წარმატებებს კოოპერატიულ მუშაობაში.

პანგალოსის გეგმები

ათინა, 14 მარტი. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს გენერალ პანგალოსს განზრახული აქვს აპრილის დამლევს გადასინჯოს საბერძნეთის კონსტიტუცია, ახალი კონსტიტუცია აფართოებს პრეზიდენტის უფლებებს. პარლამენტს მიენიჭება მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო უფლებები.

პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია მაისის შუა რიცხვებში. პანგალოსი წამოაყენებს თავის კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებში. მეფის საგვარეულოს და ვენიზელოსს არ მისცემენ უფლებას წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა.

შესაძლებლად სთვლიან, რომ პრეზიდენტი დასთანხმდება საპარლამენტო არჩევნების გადადებას ოქტომბრამდე და არჩევნები ჩატარებული იქნება ძველი კონსტიტუციის საფუძველზე.

ინგლისის ნახშირის მრეწველობა

ლონდონი, 14 მარტი. ინგლისის სამთა-მადნო მუშების ფედერაციის კონფერენციამ, რომელიც გაიმართა ლონდონში, განიხილა მთავრობის კომისიის მოხსენება ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა დასმულ იქნეს საკითხი საოლქო ორგანიზაციებში იმ მიზნით, რომ ფედერაციის ყველა წევრებმა ყოველმხრივ განიხილოს ის. საოლქო ორგანიზაციების მოხსენებების მოსასმენად და მომავალი პოლიტიკის ხაზის შესამუშავებლად მოწვეულ იქნება ახალი კონფერენცია.

ფედერაციის მდივანმა კუკმა აღნიშნა, რომ კომისიის მოხსენება დაწვრილებით უნდა შეისწავლონ ყველა სამთა-მადნო მუშებმა.

მელიძეს მიუსაჯეს ერთი თვის ციხე

პარიზი, 14 მარტი. თეთრგვარდიელ მელიძეს, რომელიც შეეცადა საბჭოთა საკონსულოს ბინაზე ეცემა საკონსულოს მდივნისათვის, სასამართლომ მიუსაჯა ერთი თვის ციხე.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავი

მიტინგი პეკინში

პეკინი, 14 მარტი. სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ყოფილ იმპერატორის სასახლის ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც პატივი სცეს ჩინეთის ეროვნული მოძრაობის ბელადის ხსოვნას. კრება გამართა გომინდანმა 60 სხვადასხვა საზოგადოებრივ, სტუდენტთა და მუშათა ორგანიზაციებთან ერთად.

მთელი დღის განმავლობაში იმართებოდა მიტინგები. სუნ-იატ-სენის ხსოვნის პატივისცემას ჰქონდა ნამდვილი მასიური ხასიათი, რითაც დამტკიცდა სუნ-იატ-სენის და გომინდანის პოპულიარობა პეკინში.

სუნ-იატ-სენის ხსოვნის პატივისცემა გაგრძელდა 3 დღეს. ამგვარსავე პატივისცემას ადგილი ჰქონდა ტიან-ძინსა, შანხაისა, და კალგანში.

პეკინი, 14 მარტი. სუნ-იატ-სენის ხსოვნის პატივისცემის მეორე დღემ კიდევ უფრო მეტი ხალხი მიიზიდა, ვიდრე პირველმა, მონაწილეობა მიიღეს ღარიბმა მცხოვრებლებმა და პეკინის ახლო მდებარე სოფლებმაც.

წლის თავის მომწყობმა კომიტეტმა მიიღო პეკინში მცხოვრები უცხოელები. მიღებას დაესწრენ დიდძალი ჟურნალისტები, საბჭოთა საელჩოს და ამერიკის მისიის წევრები და თანამშრომლები. მისაღებ დარბაზის კედლები მორთული იყო ლოზუნგებით, რომელიც მოითხოვს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას. ერთ-ერთი ლოზუნგი ასეთია: „მხოლოდ ის ხალხები არიან ჩვენი მეგობრები, რომელნიც ყოველ მიზეზს გარეშე უარყოფენ უთანასწორო ხელშეკრულებებს".

სუნ-იატ-სენის ძეგლი

შანხაი, 14 მარტი. 12 მარტს სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავზე ნანკინში ზეიმით ჩაეყარა საძირკველი ჩინეთის ხალხის ბელადის ძეგლს.

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვში

მოსკოვი, 15 მარტი. 12 მარტს კავშირთა სახლში გაიმართა სხდომა „გომინდანის" ლიდერის სუნ-იატ-სენის გარდაცვალების პირველი წლის თავის აღსანიშნავად.

სუნ-იატ-სენის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა რადეკმა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ტროცკიმ, რომელმაც აღნიშნა ჩინეთის რევოლიუციის მთავარი საფეხურები და რევოლიუციონურ სტრატეგიის პრინციპები. მან სთქვა: „ჩინეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლიუცია". დასასრულ ტროცკიმ აღნიშნა ჩინეთის რევოლიუციის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კანტონის არმიის გენერალისიმუსმა ხუ-ხან-მინმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავზე შეკრებილი მუშათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები მხურვალე სალამს უგზავნიან ჩინეთის მუშებს, გლეხებს და მშრომელ ინტელიგენციას, რომელნიც იბრძვიან ჩინეთის განთავისუფლებისათვის და მოუწოდებს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს დახმარება გაუწიოს ჩინეთის ახალგაზრდა რევოლიუციონერებს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ნაოსნობა ვოლგაზე.

მოსკოვი, 15 მარტი. წელს ვოლგაზე იმუშავებს 632 გემი.

კომკავშირელი ქალის მოკვლა.

ხაბაროვსკი, 15 მარტი. სოფელ ნეკრასოვკაში ხულიგნებმა მოჰკლეს კომკავშირელი ქალი გორიევა, რომელიც არჩეული იყო დელეგატად გლეხ-ქალთა ყრილობაზე.

მკვლელები დაპატიმრებული არიან.

პენსიები 1881 წლის 1 მარტის ტერორისტული აქტის მონაწილეებისათვის.

მოსკოვი, 15 მარტი. 1881 წლ. 1 მარტს მეფის მოკვლის დღიდან 45 წლისთავის შესრულების გამო (აღნიშნული აქტი მოხდა „ნაროდნაია ვოლია"-ს პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით), საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მუდმივი პენსია დაუნიშნა ამ ტერორისტულ აქტის მონაწილეებს, რომელნიც ცოცხლები არიან და რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სიკვდილით დასჯა და შეეცვალათ იგი მუდმივი კატორღით: ვერა ფიგნერს, იაკიმოვა-დიკოვსკის, ფროლენკოს, ივანოვსკაიას, ბოლოშენკოს, კორბა-პრიბილევას, მორეინ-მურატოვას, ოლოვენიკოვას და სიდორენკოს 225 მანეთი თვეში.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია.

მოსკოვი, 15 მარტი. დაბრუნდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია უკრაინასა და კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ.

ა. ლ. კომკავშირის მე-7 საკავშირო ყრილობა

მოსკოვის მისალმება

მოსკოვი, 15 მარტი. ამხ. რიკოვი ცეკას სახელით ესალმება კომკავშირის მე-7-დე საკავშირო ყრილობას და ამბობს:

—კომკავშირის ამ ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელიც პარტიის და მუშათა კლასის წინაშე სდგას. მან უნდა გაითვალისწინოს ის სიძნელენი, რომელნიც ჩვენ უნდა დავსძლიოთ.

ჩვენი საბჭოთა კავშირის განვითარების ხანა, რომელშიაც ამ უკანასკნელ წელს შევედით, დღის წესრიგში სვამს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც პრაქტიკულად პირველად წამოიჭრა მთელი თავისი სირთულით, ჩვენ კი აქამდე არ გადაგვიჭრია.

ჩვენი ძველი თაობა, ძველი ბოლშევიკური გვარდია, საკმაოდ გამობრძმედილია ბრძოლაში რევოლიუციისა და მუშათა კლასის დიქტატურისათვის. ის შესძლებს იმ სიძნელეთა დაძლევას, რომელიც მას წილად ხვდება სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს თაობა, რომელსაც მეც ვეკუთვნი, შესძლებს სოციალიზმის მშენებლობის საქმის სავსებით დამთავრებას. ამ მუშაობის დაბოლოვება დაეკისრებათ თქვენ—სოციალისტური რევოლიუციის ნორჩ თაობას.

ვლადიმერ ილიჩმა ერთ დროს წამოისროლა ლოზუნგი: „საქმე რაოდენობაში კი არ არის, რამედ ხარისხში, უმჯობესია ცოტა, მაგრამ კარგი". ეს ფორმულა სავსებით შეეფერება კომკავშირს. კომკავშირის რიცხვობრივი ზრდის მხრივ თქვენ დიდ წარმატებას აღწევთ დღითი-დღე. თქვენს მუშაობაში წითელ ზოლივით უნდა გადიოდეს ორგანიზაციის ხარისხის გაუმჯობესება, რაც არ უნდა დაჯდეს.

13 მარტის დილის სხდომა

ამხ. ჩაპლინის მოხსენება

მოსკოვი, 15 მარტი. კომკავშირის საკავშირო ყრილობის 13 მარტის სხდომაზე მოხსენებას კითხულობს რ. ა. ლ. კომკავში[illegible]

მომხსენებელი აღნიშნავს მე-6-ე ყრილობის შემდეგ მიღწეულ წარმატებებს და ახასიათებს იმ დაბრკოლებებს, რომელიც ხელს უშლის მუშაობას. ორატორის აზრით საჭიროა მუშაობის შინაარსის შეცვლა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის მოთხოვნილებათა გაფართოების მიხედვით.

შემდეგ ორატორი ეხება კომკავშირის რიცხვობრივ ზრდას და აღნიშნავს, რომ გასული პერიოდის განმავლობაში კომკავშირის უჯრედთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა, კავშირის წევრთა რიცხვი 1.750.000 კაცამდე ავიდა. კავშირში გაერთიანებულია მთელი მშრომელი ახალგაზრდობის თითქმის ნახევარი. 17.880 სასოფლო უჯრედის მაგიერ, რომელიც მეექვსე ყრილობის დროს გვქონდა, ამჟამად გვაქვს 41.000 უჯრედი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფა-ცხოვრების საკითხს. კომკავშირი უნა გახდეს ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ახალი ყოფა-ცხოვრების ორგანიზატორად. საჭიროა კადრების შექმნა სქესობრივ თავაშვებულობასთან და სხვა სახის ხულიგნობასთან საბრძოლველად.

იზრდება კავშირის მუშურ-გლეხური აქტივიც, უმჯობესდება მუშაობა სოფლად.

პიონერთა ორგანიზაცია, რომელშიაც 1.500.000 ბავშვია გაერთიანებული, ჩვენ სათადარიგო რაზმებს წარმოადგენს.

დასასრულ ჩაპლინი ეხება ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხს და პარტიაში ამას წინად წამოჭრილ დისკუსიას.

„კომკავშირმა—ამბობს ჩაპლინი, უნდა გაითვალისწინოს განვლილ დისკუსიების გაკვეთილები და დაიცვას თავისი თავი ყოველგვარ გადახრისაგან."

სრ. საქართველოს პროფკავშირთა მე-5-ე ყრილობა

მეათე სხდომა

14 მარტს, დილის სხდომაზე სწარმოებდა

კამათი ამხ. ჟოჟიკაშვილისა და გეგეჭკორის მოხსენების გარშემო.

ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ამხ. კერესელიძემ, აფაქიძემ, კოჩიევმა, ოგანოვმა, ლალაზიძემ, არაქელოვმა, ლეკიშვილმა, კრავცოვმა, ალადაძემ, ფანცულაიამ, ზურჩულაძემ და ბუაძემ.

მათ აღნიშნეს, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი მოვლენა არის კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობა, რასაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლათ საჭიროა რაც შეიძლება მეტი მუშა-ხელი გაიგზავნოს საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში და სხვადასხვა წარმოებებში. აღინიშნა აგრეთვე ლითონის მრეწველობის დღევანდელი არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მითითებულ იქნა, რომ საჭიროა ამ მრეწველობის გაფართოება ისე, რომ მათ მიიღონ დაკვეთები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. აღნიშნულ იქნა აგრეთვე ახალი წარმოება-ქარხნების გახსნის საჭიროება, როგორიც არის მაგ. ცემენტის, აგურის და სხვა.

ამხ. **აფაქიძე** მიუთითებს, რომ საჭიროა საამშენებლო მასალების დამზადება წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით. საამისოთ უმაღლესი სამეურნეო საბჭო უნდა შეუთანხმდეს სამაზრო-სამეურნეო ორგანიზაციებს. ამას გარდა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ს. მ. უ. საბჭომ უფრო მეტი კავშირი უნდა დაიჭიროს სამაზრო აღმასკომების სათანადო განყოფილებებთან და ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებთან. კამათში აღინიშნა დიდი მიღწევები თამბაქოს მრეწველობის დარგში. ორატორები შეეხნენ შემდეგ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების საკითხს და აღნიშნეს, რომ მათი დადება გვიანდება. ორატორებმა მოითხოვეს, რომ ს. მ. უ. ს. მიიღოს ზომები, რათა სამეურნეო დარგის მუშაკებმა არ გააჭიანურონ ამ ხელშეკრულებათა დადების საქმე.

ამხ. გეგეჭკორის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ამხ. ათოევმა, ძაძამიამ, კაკულიამ, ფოცხიშვილმა, ევ. შანიძემ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ მიწათმოქმედების კომისარიატმა დიდი მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების აღორძინების დარგში. გაუმჯობესება და განვითარება ეტყობა მემინდვრეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მესაქონლეობას, მერძეობას, სატყეო მეურნეობას, მიწათმოწყობას და სხვა. ამასთანავე ერთად ორატორები საჭიროა სცნობდენ მეტი ღონისძიებების გატარებას ტყის დაცვის საქმეში, რადგანაც მოუვლელობით ტყე ნადგურდება და ახალ ტყის გაშენებას კი ათეული წლები უნდება.

ამხ. **ფოცხიშვილმა** მოითხოვა, რომ მიწათმოქმედების კომისარიატმა ყურადღება მიაქციოს სამკურნალო ბალახების მოშენებისა და დაგროვების საქმეს, რადგანაც საქართველო მდიდარია მრავალგვარ სამკურნალო ბალახებით, რომელთა მიზანშეწონილი გამოყენება სარგებლიანობის გარდა, ნივთიერადაც დიდათ შემოსავლიანი იქნება სახელმწიფოსათვის.

ამხ. **შანიძე** შეეხო სოფლის მასწავლებლების საკითხს და მიუთითა, რომ მიწათმოქმედების კომისარიატმა და სხვა სათანადო დაწესებულებებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ ახალ გზაზე დამდგარი ჩვენი მასწავლებლობა მთლიანად იქნეს გამოყენებული სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ამავე ორატორის აზრით საჭიროა ჩვენში არსებულ შრომის სკოლებში და ტეხნიკუმებში შეტანილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო განხრა.

ამხ. **ჟოჟიკაშვილის** და **გეგეჭკორის** საბოლოო სიტყვების შემდეგ ყრილობამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდო რეზოლიუციების გამომუშავება მათ მოხსენებების გამო.

მეთერთმეტე სხდომა

14 მარტის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა

სამანდატო კომისიის მოხსენება

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ზვარამაძე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყრილობას დასწრებია გადამწყვეტი ხმის უფლებით 395 დელეგატი. მათ შორის, 370 მამაკაცი და 25 ქალი.

ეროვნული შემადგენლობა დელეგატების შემდეგნაირია: ქართველი 271, სომეხი 58, რუსი 32, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების.

განათლების მიხედვით: შინაური განათლება მიღებული აქვს 59 დელეგატს, დაბალი განათლებით აღჭურვილია 200, დანარჩენი საშუალო და უმაღლესი განათლებით.

პარტიული შემადგენლობა: კომპარტიის წევრი და კანდიდატი 73 პროცენტი, უპარტიო 21 პროცენტი, დანარჩენი კომკავშირელები.

ყრილობას თბილისიდან დაესწრო 184 დელეგატი, პროვინციიდან 211.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენებები სექციების მუშაობის შესახებ და დაამტკიცა წარმოდგენილი რეზოლიუციები.

პროფსაბჭოს ახალი შემადგენლობა

პროფსაბჭოში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები:

ყურულაშვილი, ფანცხავა, ჭელიძე, საბაშვილი, ელბაქიანი, გოდაბრელიძე, მდივანი, მხიტაროვი, მარკმანი, ბუაძე, ჩხეიძე, ხომასურიძე, მაჩაიძე, მიქაძე, გოგიბერიძე, ცომაია, ხუტულაშვილი, არჩვაძე, ბოლქვაძე, ფირალოვი, ჯაფარიძე, ჯორბენაძე, თოდრია, გაბარაშვილი, სალდაძე, დემეტრაშვილი, მორჩილაძე, ენუქიძე, ვოგინაშვილი, ორლოვი, ნიკიტინი, არეშიძე, ავეტისოვი, გუ-[illegible] ბარამოვი, სუ-[illegible], კაკუარაშვილი, მარიამიძე, თავდგირიძე, არველაძე, ათოევი, [illegible], მახარაძე, [illegible], ლეპეკი, [illegible], პოლოსოვი, ხუნდაძე, ფრუიძე, ორჯონიკიძე, დოლიძე, მატინიანი, კუჭუაშვილი, ქურიძე, ჯიჯაძე, კვირიკაძე, სულავა, ბეჟანოვი, კაუფმანი, ვაშაკიძე, გვარამაძე, მაჭარაძე, კალანდაძე, ვაჭარაძე, ჩაჩუა, გოგიბერიძე, კაპანაძე, სუკრიანი, ნადარია, ვალუისკი, ფურცელაძე, კომახიძე, კალანდაძე, ვარნაზოვი, ხალათიანი, ოჩიგავა, ცხომალია, გოგოლიშვილი, მესროპოვი, კაკაბაძე, თარხნიშვილი, ქოქოძე, ლომთათიძე, ბოჭორიშვილი, კრავცოვი, ოსიტაშვილი, ლალაზიძე, ბარაბაძე, ფალავა, შევმოხოვი, ასლამაზაშვილი, ბასილაია, ჩხეიძე, კიზირია, ჯავახიძე, გაბუნია, ბრეგვაძე, ობრაზოვი, პიასეცკი, ქართველიშვილი.

კანდიდატები:

კოდუა, ცირეკიძე, სუთიძე, მოსესოვი, ტატიშვილი, ანანოვი, კაციტაძე, არაქელოვი, უნგიაძე, ყუფარაძე, ჟურავლიოვი, ტაბიძე, ხრაპკო, ფანცულაია, ანტონიანი, კურცხალია, თოხაძე, ტერ-სტეპანოვი, ლაშქარიშვილი, ვასილიევი, ბუჯიაშვილი, ცანავა, გორგაძე, ბიგვავა, ახობაძე, ნარეკლიძე, ბაბუცაძე, კაკულია, ებრალიძე, ალახვერდოვი, მიქიაშვილი, ხაჩიძე, სეხნიაშვილი, შტელმახი, შამლიკ-ოღლი, გინზბერგი.

ყრილობამ აირჩია აგრეთვე დელეგატები ამიერ-კავკასიის პროფორგანიზაციების ყრილობაზე დასასწრებლად.

პროფსაბჭოს პირველი პლენუმი

კვირა საღამოს, ყრილობის დამთავრების შემდეგ, ყრილობის სხდომის დარბაზშივე გაიმართა ახლად არჩეულ საბჭოს პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი პროფსაბჭოს პრეზიდიუმის არჩევის, შრომის სახალხო კომისრის, მისი მოადგილის და კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების გამგის თანამდებობებზე კანდიდატების წამოყენების შესახებ.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ყრილობამ ერთხმად აირჩია ამხ. **გიორგი ყურულიშვილი**, მდივნად და საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ ამხ. **ალ. ფანცხავა**, კულტგანყოფილების გამგედ ამხ. **ილ. ჭელიძე**, სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგეთ ამხ. **სულავა**.

წევრებათ: ამხ. **არჩილ მიქაძე**, ხომასურიძე, ათოევი, მაჩაიძე, ხუტულაშვილი, მორჩილაძე, ფირალაშვილი, გვარამაძე, ალადაძე, ვაშაკიძე, ავეტისოვი, ნიკიტინი, ზაზაჯანოვი.

შრომის სახალხო კომისრის თანამდებობაზე პლენუმმა კანდიდატად წამოაყენა ამხ. **არჩილ მიქაძე**, მის მოადგილედ ამხ. **მორჩილაძე**, კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების გამგეთ ამხ. **მიხ. გოგინაშვილი**.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, 15 მარტს, საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო **სამოსამართლო დაწესებულებათა მუშაობა თბილისსა და მის მაზრაში.**

მომხსენებელი—საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. კაჭარავა მოკლე მიმოხილვას უკეთებს სამოსამართლო დაწესებულებათა (სახალხო სასამართლოების, საბინაო სასამართლოს, საგამომძიებლო და აღმასრულებელი აპარატის, დამცველთა კოლეგიის და სხვა) მუშაობას ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში. სულ თბილისში არსებობს 5 სახალხო სასამართლო უბანი—12 მოსამართლით, 1 საბინაო სასამართლო, 2 შრომის სასამართლო, ერთი მორიგი კამერა, 5 სანოტარო კანტორა, 7 სახალხო გამომძიებელი, დამცველთა კოლეგიის 211 წევრი და სხვა. მაზრაში არსებობს 7 სახალხო სასამართლოს უბანი, 4 სახალხო გამომძიებელი და 3 აღმასრულებელი.

თბილისსა და მის მაზრაში სულ სახალხო მოსამართლეთა რიცხვი უდრის 29. აქედან კომუნისტია 25, უპარტიო 4. კომუნისტი მუშა 15, უპარტიო მუშა 3.

1925 წლის 1-ლი იანვრისათვის გასარჩევათ დარჩენილი იყო სისხლისა და სამოქალაქო საქმე 2.500, შემოვიდა 18.081 საქმე, გაირჩა 11.928, დარჩა გაურჩეველი 6.153. მაზრაში იყო დარჩენილი 812, შემოვიდა 8.192 გაირჩა 6.363, დარჩა 2.641. საბინაო სასამართლოში იყო დარჩენილი 898 შემოვიდა 4382, გაირჩა 4092, დარჩა 1.160. შრომის საქმეები იყო 3835, გაირჩა 3607, დარჩა გასარჩევი 227.

მომხსენებლის აზრით, საქმეების გაურჩევლობა ასეთი დიდი რაოდენობით აიხსნება იმ გარემოებით, რომ სასამართლო უბნების სიმცირის გამო სასამართლოები იმდენად დატვირთულნი არიან, რომ ისინი ვერ ასწრებენ შემოსულ საქმეების გარჩევას. იგივე გარემოებაა მიზეზი, რომ საქმეების დანიშვნას და გარჩევას აგვიანდება 3—4 და 6 თვით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მაზრაში, სადაც სამოსამართლო უბანი მცხოვრებლებს ხშირად 50—60 ვერსის რადიუსით არის დაშორებული, რის გამოც გლეხი ვერ მიმართავს სასამართლოს. მომხსენებლის დასკვნით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასამართლო უბნების და მოსამართლეთა რიცხვის გადიდება და აგრეთვე გამავალი სესიების ხშირი მოწვევა ადგილობრივ. ღირსების მხრივ სასამართლოები გაუმჯობესდენ: მათ სავსებით შეითვისეს კლასიური მიდგომა საკითხებისადმი.

სათანადო სიმაღლეზე დგას საგამომძიებლო აპარატი, მაგრამ აქაც საჭიროა შტატის გადიდება. ნაყოფიერად მუშაობენ სანოტარო კანტორებიც, რომელთაც გასული წლის განმავლობაში იუსტიციის სახ. კომისარიატს მისცეს 60.000 წმინდა შემოსავალი. დიდ სამსახურს უწევენ სასამართლოს დამცველთა კოლეგიის წევრები, რომელთაც გასულ წელს იკისრეს 1500 საქმის უფასოთ დაცვა. საჭიროა დამცველთა გამრავლება სოფლად, სადაც ხალხი დღემდე უვიც „ადვოკატების" ხელშია.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე მორიგო კამერას და მცირეწლოვანთა კომისიის მუშაობას. რამდენად სწრაფად და კარგად მუშაობს მორიგი კამერა, იმდენად მოისუსტებს მცირეწლოვანთა კომისია, რომელსაც უსახსრობის გამო თითქმის არაფერი გაუკეთებია. მომხსენებელი დასკვნის მისთვის, რომ სასამართლოს მუშაობა იქნეს სწრაფი და მშრომელთათვის ადვილად მისაწვდომი, საჭიროა სასამართლოს დაწესებულებათა გამრავლება და მათი სათანადო თანხებით უზრუნველყოფა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის და ამხ. კაჭარავას საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც საბჭო სასამართლოს ორგანოების მუშაობას თბილისში და მის მაზრაში სცნობს დამაკმაყოფილებლად და ამავე დროს საბჭო აყენებს მთელ რიგ კონკრეტულ წინადადებებს სასამართლო ორგანოების სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად.

სხდომა დასრულდა საღამოს 11 საათზე.

ხმა საიქიოდან

„ერთად დგომა, ერთად ბრძოლა, ერთი დროშა"

პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მოშლილ, ძვალმოტეხილ ქართულ კონტრ-რევოლიუციას დღეს აღარ შესწევს ძალა „რეალურ შემოქმედების", როგორც ეს აგვისტოს ავანტიურამდე კიდევ იყო, და ის თავიანფეხებიანათ ოცნების სამყაროში გადაეშვა. ფიქრობს დღე და ღამე ქართული ემიგრაცია, ოცნების კოშკებს აშენებს და ამით აქარვებს დაოსებულ გულის ჯავრს. ამის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის. იფიქრონ, რამდენიც კი ჩაეტევა მათ დაჩლუნგულ ტვინის უჯრედში, იტკბონ გული ტკბილი ილიუზიებით, მაგრამ ქაღალდი რა შუაშია, რა შუაშია აქ საბეჭდი მანქანა, რომელსაც დროგამოშვებით მაინც აცვამენ ჩვენი პარიზელი დონკიხოტები თავიანთ ოცნების ჯვარზე.

აი „დამოუკიდებელ საქართველოს" პირველი და მეორე ნომერი. იცნობდეთ, ეს გახლავთ „საქართველოს პოლიტიკურ პარტიების საერთო ორგანო". როგორც ყველგან და ყოველთვის ისე აქაც მენშევიკები ღირსეული სპასალარები არიან ჩვენებური კონტრ-რევოლიუციის. მოძახილი მენშევიკებისაა, ხოლო ბანი და მეორე ხმა სხვა წვრილფეხა პარტიებს ეკუთვნის. „ერი ცოცხალი ორგანიზმი არის, მას აქვს თავისი სახეობა, ნებისყოფა, **მაშასადამე ის მთლიანია და განუყოფელი**",—ეს გახლავთ პირველი ნომრის მეთაურის, „დამოუკიდებელ საქართველოს" დეკლარატიული წერილის დედა-აზრი, ქართული კონტრ-რევოლიუციის მოქმედების გამოსავალი წერტილი და მისი ბრძოლის... უკაცრავად, ოცნების, მთავარი ხაზი. იქნებ ვისმე ეგონოს, რომ აქ ერი წარმოდგენილია ქართველი მშრომელი ხალხის სახით. არ შეხჭამოთ პირმა. ჰკითხეთ „სოციალისტ" თოს. გობეჩიას. ის პუნქტუალური კაცია. მას ყველაფერი კონკრეტული უყვარს:

„ყოფილი თავადი, სწერს გობეჩია, ყოფილი მემამულე, სასულიერო წოდება, მუშა, გლეხი, ყველა გაერთიანებული არის ერთის აზრით, ერთის მიზნით—ოკუპანტების განდევნით საქართველოს მიწა-წყლიდან და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენით."

აგაშენა „ღმერთმა",—აი ესერ გობეჩიას ერი, აი, ქართველო მუშებო და გლეხებო თქვენი თანამებრძოლნი. მაშ რისთვის იბრძოდით თქვენ მეფის ჯალათების წინააღმდეგ, რად ღვრიდით სისხლს, დემოკრატიულ სამოთხის დასამხობათ, თუ ამ განსაცდელის ჟამს თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას გვერდს უქცევდით? პირამოქმედი და კონკრეტიული გობეჩია ობლად არ რჩება. მას მხარს უმშვენებს ქართული მენშევიზმის ბელადი ნოე. ასეთი აღტკინებით ათავებს ჟორდანია თავის წერილს იმავე „დამ. საქ."-ში: „ერთად დგომა, ერთად ბრძოლა, ერთი დროშა". როგორ ერთობაზეა აქ ლაპარაკი უკვე გასაგებია ჩვენთვის, ხოლო ისიც კარგათ ვიცით, **რომელ დროშას ამოუდგება ყოფილი თავადი, ყოფილი მემამულე და სასულიერო წოდება.**

„იმ დროს და იმნაირად"...

სიტყვა ეძლევა გიორგი გვაზავას, ნაფიც ვექილს და ნაფიც კონტრ-რევოლიუციონერს. ის საკითხს იურიდიულათ უდგება. საერთაშორისო სამართლის ძალით ასაბუთებს თავის „უმანკო" ზრახვების მისწრაფებას.

„საფრანგეთი რიფის მიმართ სდგას უფლებრივ ნიადაგზე, მოგვითხრობს იურისტი, იგი ეუბნება მას: „დაგითმობ ყველაფერს, რაც კი შეიძლება მოქცეულ იქნას. საერთაშორისო შეთანხმების ჩარჩოებში და დადებულ ხელშეკრულებათა ფარგლებშიო". ამაშია ძალა საფრანგეთისა. ამით აიხსნება ის, რომ მიუხედავათ ამ განუწყვეტელ სისხლის ღვრისა—არც ერთი სახელმწიფო ხმას არ იღებს ამ ბრძოლის შესაჩერებლად. სულ სხვაა საქართველოს მდგომარეობა. იგი ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, და დაკავება მისი ტერიტორიისა უცხო ქვეყნის მიერ არის საერთაშორისო დანაშაული: შელახულია უფლებრივი შეგნება და კაცობრიობის სინდისი".

ასე რომ რიფები, რომელნიც გმინავენ საფრანგეთის იმპერიალიზმის უღლის ქვეშ, რომელნიც სისხლიდან იწურებიან თავისუფლებისათვის ბრძოლაში, არ ყოფილან თანაგრძნობისა და დახმარების ღირსნი, რადგან ეს არ შედის „საერთაშორისო შეთანხმების ჩარჩოებში", ხოლო თუ ამავე დროს მოთმინებადაკარგული, მენშევიკურ რეჟიმისაგან ილაჯ-გაწყვეტილი ქართველი მშრომელი ხალხი კისერს უგრეხს თავის მჩაგვრელთ და თავდაყირა ამხობს ჟორდანია-გვაზავების ბატონობის ტახტს, თუ ის თვითონ ხდება დამოუკიდებელ საქართველოს ბატონ-პატრონი, ის ამით „ლახავს უფლებრივ შეგნებას და კაცობრიობის სინდისს". აქ უნდა ჩაერიოს უცხო ძალა, რადგან ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი და „დადებულ ხელშეკრულებათა ჩარჩოები". აი კონტრ-რევოლიუციის ლოღიკა; აი რამიშვილ-გვაზავა-გობეჩიების სამართალი. ჭეშმარიტად ამაზე ნათქვამია: „Pereat mundus—vivat justicia" (დეე დაიღუპოს ქვეყანა—მაგრამ გაიმარჯვოს კანონიერებამ). დიპლომაცია ქართული კონტრ-რევოლიუციის ზეგარდმო მადლით ნაცხები ნიჭი.

მაგრამ კითხვა აქ ის არის. ვინაა ის საერთაშორისო სამართლის მატარებელი ძალა, რომელიც სადარაჯოზე უდგას „კაცობრიობის სინდისს" და ვინც უნდა იკისროს ქართველი ერის „შელახულ" უფლების აღდგენა? პატივცემულ ვექილს პასუხი აქაც მზადა აქვს. ერთა ლიგამ ჯერ კიდევ 1922 წ. მიიღო სათანადო რეზოლიუცია საქართველოს შესახებ. მეორე რეზოლიუცია იმავე პატივცემულ დაწესებულებას მიუღია 1924 წ. სექტემბერს. აი მისი ტექსტი იურისტ გვაზავს გადმოცემით:

„გადაეცეს საბჭოს მოხსენება მე-6 კომისიისა, შესახებ საქართველოს მდგომარეობისა, რათა მიეცეს საბჭოს საშუალება მიიღოს მხედველობაში, იმ დროის და იმნაირად, როგორც საჭიროდ დაინახავს ის ზომები, რომელიც იქ აღნიშნულია."

აი სწორედ: „იმ დროის და იმნაირად", „ის ზომები" სხვა ენა ხომ არ არსებობს ერთა ლიგისათვის. მთელი მისი მოქმედება, რაც ეს საერთაშორისო დიპლომატიური ჩაიხანა „დაარსდა", გამოიხატება ამ მიკიბულ-მოკიბულ, „აროგა-ჩაროგა"—ფორმულებში. და ეს სავსებით აკმაყოფილებს ბ-ნ გიორგის: „ამნაირად საქართველოს საკითხი უკვე დასმულია ერთა ლიგაში"-ო—პათეთიურად ასკვნის ის. ოხუნჯობის გუნებაზეა გიორგი. მაგრამ გვაზავა თავის იურიდიული გამოკვლევებით კენტად არ რჩება. „ერთა ლიგას ვალდებულება აქვს თავისთავზე მიღებული: საქართველო (იგულისხმება გობეჩიას „ერი") მშვიდობიანი გზით ნორმალურ პირობებში ჩააყენოს" („ბრძოლა" № 7)—სწერს: „ოტსტავკაში" მყოფი მენშევიკურ „მოამბის" რედაქტორი ნოზაძე. კი, როგორ არა, ინებეთ ბატონებო, „იმ დროში და იმნაირად", „ნორმალური საქართველო". ოღონდ ფრთხილად, პირი არ დაგწვათ.

სამი „ძლიერი და შეუდრეკელი" მოკავშირე

რას ფიქრობს თითონ ჟორდანია? როგორია მისი განათლებული აზრი „ნორმალურ საქართველოს" საკითხებზე? ის მარტო საერთაშორისო სამართალით როდი კმაყოფილდება. ნოეს კიდობანში სხვა უფრო „ძლიერი და შეუდრეკელი" იარაღები მოიპოვება.

„ჩვენ მარტონი არა ვართ, სწერს ის („დამ. საქ" № 1), ჩვენი საქმე ყალბ თამასუქებზე არ იჭერება ჩვენ გვყავს სამი **მოკავშირე, სამივე ერთნაირად ძლიერი და შეუდრეკელი.**

პირველი ჩვენი მოკავშირეა რუსეთის საქმეთა მსვლელობა, შიგნით და გარეთ... მეორე, ჩვენი მოკავშირეა—მსოფლიო საზოგადო აზრი. აქ ჩვენ საკითხში დიდი ხანია შემდგარია ერთი ფრონტი, დაწყებული უკიდურესი მემარჯვენით და გათავებული უკიდურესი მემარცხენით... მესამე ჩვენი მოკავშირეა—ისტორია, კაცობრიობის აუცილებელი მსვლელობა ერთა თავისუფლების და თანასწორობისაკენ... ჩვენ გვაქვს მერმისი, ჩვენი მტრები კი ამას მოკლებულია (?), ისინი ცოცხლობენ წარმავალი წუთებით, ჩვენ კი სამუდამო მომავალით. ჩვენი გზა ისტორიის შარა-გზაა და მიდის სიცოცხლისაკენ".

მოდი და ნუ გაგეცინება. „ჩვენ გვაქვს მერმისი, ჩვენი მტრები კი ამას მოკლებულნია". სწორედ ამაზე იტყვის კაცი, უვიცისათვის დუმილი დაუფასებელი საქონელია, მაგრამ ეს, რომ მას გაეგებოდეს, ის უვიციც არ იქნებაო. „ნორმალურ საქართველოს იდეურ მამამთავარს აბა ასეთ არანორმალობას როგორ შევკადრებთ. აშკარაა, მას ეს სიტყვები ისე როყოთ არ გადმოუსვრია. ვნახოთ რა უდრეკი მოკავშირეებია ეს მოკავშირეები, რა რეალურ ღირებულების მატარებელია ისინი.

რუსეთის შინაგანი და გარეშე საქმეთა გართულება. ეს ხომ ახალი ზღაპარი არაა. რამდენი ხანია ყველა ჯურის რეაქციონერები სულთათინას უგალობენ ოქტომბრის რევოლიუციას. აი დღეს, აი ხვალ, აი ზეგ, აი იმ კვირას, იმ თვეს, იმ წელიწადს—ასეთი იყო ის ვადები, რომლითაც საზღვრავდა შინაური და გარეშე მტერი საბჭოთა ხელისუფლების არსებობას. დღეს ეს ფორმულა შეიცვალა **„ადრე თუ გვიანით"**. ადრე თუ გვიან დაეცემა საბჭოები—ასე მეტყველობენ დღეს იმედგაცრუებული შავი ყორნების ენები, მაგრამ ოქტომბერი იზრდება შეუჩერებლივ შინ და გარედ, იზრდება ნივთიერად, იდეურათ, ორგანიზაციულად; ცხადია, ეს მართლაც უდრეკი „მოკავშირე" ვერ გამოადგება „სამუდამო მომავალით" მცხოვრებ ნოეს მრევლს.

მაგრამ ყველაზე უფრო დამაფიქრებელია მეორე მოკავშირე—„მსოფლიო საზოგადო აზრი". თქვენს წინაშე ალბად, წამოიჭრება ევროპის აღშფოთებულ პროლეტარიატის მასიური დემონსტრაციების სურათი: მიტინგები, საპროტესტო რეზოლიუციები და სხვა. არაფერი გეტკინათ. ევროპის მუშათა კლასი, როგორც სჩანს არ იზიარებს გიორგი გვაზავს „საერთაშორისო შეთანხმების ჩარჩოებს". სამაგიეროთ, აი „მსოფლიო საზოგადო აზრის" გამომხატველი ორგანოები სულდგმული. პარიზის კაფე-შანტანების დამა.

„სწორედ შარშან ზაფხულზე იყო მოგვითხრობს შ. ამირეჯიბი („დ. საქ." № 2), რომ ერთმა ფრანგის მანდილოსანმა, რომელიც საქართველოს მხოლოდ გაზეთებიდან იცნობდა, და რომელმაც სადღაც ფრანგულ რივიერაზე პირველად დაინახა საბჭოთა ელჩი ბ. კრასინი, მიაძახა: „ძირს კრასინი, გაუმარჯოს საქართველოს"-ო.

რაღა უჭირს ქართ. მუშებსა და გლეხებს. ამაზე უკეთესი დამცველი მათი ინტერესებისა „ღმერთმაც" შეარცხვინოს. პარიზის შანსონეტკა და ისიც მოჭორილი (ერთმა ქალმა სადღაც რივიერაზე"). აი ის ლაშქარი, რომელიც გამოხატავს—„მსოფლიო საზოგადო აზრს" „ნორმალურ" საქართველოზე და, რომელსაც ნოეს სიტყვით, „ძლიერი და შეუდრეკელი" მოკავშირე ეწოდება.

იქნებ ნოეს სწყალობენ ევროპის მმართველი წრეები, მაგრამ როგორ დაწიხლა მენშევიკური პურ-მარილი რამზეი მაკდონალდმა, ხომ ყველას ახსოვს. რაც შეეხება ჩემბერლენს, საბჭოთა კავშირის ამ შეურიგებელ მტერს, მისი პასუხიც მოკლე და მარტივია: „საქართველოს საკითხი არის საბჭოთა კავშირის შინაური საქმე, რომელშიაც ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ჩაერიოს". (თემთა პალატის, 8 თებერვლის სხდომა).

მაშ, ვისი და ან რომელი მსოფლიო აზრის იმედი აქვს მენშევიკურ პატრიარქს. ცხადია, ეს მეორე მოკავშირეც მხოლოდ ქართული კონტრ-რევოლიუციის წარმოდგენაში, თუ არსებობს, თორემ ჩვენს პლანეტაზე, ის დღეს აღარსად მოიძებნება. სამაგიეროთ, პარიზის ძმა-ბიჭები, თუ მსოფლიო აზრის არა, საკუთარ შეთხელებულ რიგების ანტი-კომუნისტურ აზრის შექმნაზე მაინც ფიქრობენ. დღიდან-დღეზე ეცლებათ მათ ხელიდან ის მცირე ლაშქარიც, რომელიც აქედან გაბრიყვებით გაიყოლიეს. ამისათვის მოსწრებული წამალია ჭორი და გუდაბშტუტური ფართოფურთობა. „დამოუკიდ. საქ.", № 2-ში თქვენ მაგ. ასეთ ცოცხალ ამბებს ამოიკითხავთ საქართველოს კომპარტიის ყრილობის შესახებ:

„როგორ უნდა დაიმარხოს გლეხი. ასეთი ბაასი გაიმართა საქართ. კომპარტიის კრებაზე:

მახარაძე: როდესაც უპარტიო გლეხს უბედურება თავს დაატყდება, მეზობელი კომუნისტი მოვალეა მივიდეს და მოეხმაროს. საშა გეგეჭკორი (ადგილიდან) და არა იმისათვის, რომ სამგლოვიარო პროცესიას გაჰყვეს. **მახარაძე:** როგორ თუ არ გაჰყვეს, მაშ რა დახმარება იქნება? **გეგეჭკორის აზრით, ასკვნის გაზეთი, კომუნისტმა გლეხის სიკვდილში, მარტო ქელეხი უნდა სვამოს, კუბოს აწევა ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობაა".**

ასეთი ჭორებით ამუშავებენ პარიზის ქართველი დონკიხოტები საზოგადოებრივ აზრს, ემიგრაციის დაბლა ფენებში.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჟორდანიას, მესამე უდრეკი და დაუძლეველი მოკავშირეც ჰყავს. ეს მოკავშირე, თურმე, ისტორიაა. მისი გარდაუვალი კანონებით. რაც შეეხება ისტორიას, მან უკვე სთქვა თავისი სიტყვა ქართული მენშევიზმის შესახებ. ისტორიის შარა გზამ, რომელსაც ასეთი იმედის თვალით შეჰყურებს დღეს ქართული ემიგრაცია. ისინი უკვე ქედ-გადაღმით მოიტოვა და საარქივო ადამიანებათ გადააქცია. ისტორია, მკვიდრებს აღარ უბრუნდება. მათთვის არსებობს არქივი, მუზეუმი, ისტორიის სახელმძღვანელოები. ტყვილა იტკენს თავს „დაყუდებული ბერი" ს. ფირცხალავა, როდესაც ის წარსულისადმი უპატივცემლობას უსაყვედურებს ქართველ ხალხს. („დ. საქ"., № 2.):

„ჩვენში ისე ეზარებათ ყველაფერი ძველი, წინანდელი; ისეა მოსპობილი გრძნობა წარსულის და აწმყოს კავშირისა, ისეთი უტრადიციობაა, რომ როცა ვინმე კვდება, მის ნაქონს არაფერს ინახავენ, შორს გადაისვრიან, „ნამკვდრებს" არისო. ჩვენში ვერ ნახავთ შვილს, მამის დაწყებულ საქმეს მისდევდეს, მამის ნაგებ სახლში სცხოვრობდეს, მამის ნაშენებს ხმარობდეს. ყველაფერს თავიდან იწყებს, ყველას ახლად უნდა ქვეყანა აშენება".

ტყუილი საყვედურია ბ-ნო სამსონ; განათლების კომისარიატის არქეოლოგებს ბევრი „ნამკვდრები" რამ მოეპოვებათ. ასე გასინჯეთ „სახალხო საქმის" მთელი კომპლექტები რიგ-რიგობით და ალფა-ბეტზე დალაგებული.—„ნამკვდრებს" აღარ გაურბიან საქართველოში, რამდენათაც ცოცხლები დაზღვეულია მიცვალებულთა ხელყოფისაგან.

ამგვარად, ისტორიამ თავისი გაკეთა. მისმა ბორბალმა უკვე ხუთი წელია კონტრ-რევოლიუციონერთა ნაგავი ევროპის ყავახანებში გადაისროლა და ცოცხალ გვამებად გადააქცია მისი მესვეურნი. ახალი საქართველო მოდის, ახალი ქვეყანა შენდება, ახალი საზოგადოებრიობა ვითარდება. არც არავინ იწუხებს თავს ევროპის სატახტო ქალაქებში მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად.

ეს მესამე მოკავშირეც ისეთივე „ძლიერი და შეუდრეკელი" არის, როგორც ორი პირველი.

გზები დახშულია, ბრძოლა საბოლოოდ წაგებულია, სამედო ნუგეშის ხმა არსაიდან ისმის. ემიგრაციის ბელადები მაინც წვანან და იცოხნიან, მათ მაინც თავიანთი ამინდი ჰგონიათ. ჭეშმარიტად, ნეტარ არიან მორწმუნენი.

ჯანი.

პარტიული ცხოვრება

თემის საბჭოებზე ხელმძღვანელობის შესახებ

საბჭოთა არჩევნები ადგილებზე უკვე თავდება. იმ ცნობებიდან, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, აშკარად სჩანს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორათ გაიგეს პარტიის ხაზი საბჭოებისადმი დამოკიდებულების საქმეში.

გასულ წელთან შედარებით, უსათუოდ დიდი ნაბიჯია გადადგმული. გლეხობა უკვე დაინტერესდა საბჭოებით, ის აქტიურ მონაწილეობას იღებს არჩევნებში. დღეს მას ძალით ვერ მოახვევთ თავზე კანდიდატს; ის ირჩევს მხოლოდ მას, ვინც გამოსადეგია სოფლისათვის, ვისაც საქმის გაკეთება შეუძლია. კომუნისტსაც კი ამოშავებდენ გლეხები, თუ მას ავტორიტეტი არ აქვს. ტკბილ სიტყვას, ან მუქარას გლეხზე უკვე აღარ აქვს გავლენა.

საჭიროა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სოფლად არ შეჩერდენ ამ მიღწევებზე; ეს მიღწევები ჩვენ კიდევ მეტათ უნდა გავაღრმავოთ, გავშალოთ. ახალი საბჭოების მუშაობა ისე უნდა დავაყენოთ, რომ გლეხობაში კიდევ უფრო გაიზარდოს ინტერესი საბჭოების მუშაობისადმი. ამას ჩვენ მაშინ მივაღწევთ, როდესაც თემის საბჭოსა და გლეხობას შორის მჭიდრო კავშირი იქნება. წინათ ეს კავშირი არ არსებობდა. გლეხი ვერ გრძნობდა საბჭოს არსებობას. თემის საბჭო იშვიათად იკრიბებოდა, მთელი საქმე ალმასკომის თავმჯდომარესა და მდივანს აწვებოდა თავზე. ეს მდგომარეობა უნდა აღმოიფხვრას. თემის საბჭოს სხდომა სისტემატიურად უნდა ხდებოდეს კვირაში თუ ორ კვირაში ერთხელ. ალმასკომი საბჭოს სხდომისთვის უნდა ამზადებდეს სხვადასხვა საკითხებს, ამ საკითხებს წინდაწინ უნდა აცნობებდეს საბჭოს წევრებს. საკითხების წინდაწინ გადაწყვეტას და საბჭოსათვის თავზე მოხვევას ადგილი არ უნდა ექნეს; დაცული უნდა იქნეს სრული დემოკრატიზმი.

რომ ეს შევძლოთ, საჭიროა საბჭოებზე სწორი პარტიული ხელმძღვანელობის გაწევა. თემკომებმა და სოფლის უჯრედებმა ეს ხელმძღვანელობა უნდა აწარმოონ უსათუოდ საბჭოში მომუშავე კომუნისტების—კომუნისტური ფრაქციის საშუალებით. ხელმძღვანელობა უჯრედებისა და თემკომების მხრივ უნდა გამოიხატებოდეს პარტიის საერთო ხაზის გატარებაში საბჭოების მუშაობაში. ეს ხაზი კი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭომ მჭიდრო კავშირი დაიკავოს გლეხობის ფართო მასებთან, ადგილი არ ექნეს გადახრას სამხედრო კომუნიზმისაკენ, საბჭო ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით უნდა ამტკიცებდეს თავის გავლენას გლეხებში და სხვ.

ყოვლად დაუშვებელია საბჭოს მუშაობაში უშუალოდ ჩარევა. თემკომმა და უჯრედმა საბჭოს კომუნისტური ფრაქციის საშუალებით უნდა აწარმოონ ეს ხელმძღვანელობა. წინათ იშვიათ საბჭოს შეხვედრებოდით, სადაც გამოყოფილი ყოფილიყვენ კომფრაქცია. დღეს ამას ყურადღება უნდა მიექცეს. უჯრედებმა აქედანვე უნდა მიიღონ ზომები და ყოველ საბჭოსთან დაარსონ კომფრაქციები.

ამნაირად, თემის საბჭოებთან კომფრაქციების დაარსება და მათი საშუალებით საბჭოებში პარტიის ხაზის გატარება და ხელის შეწყობა საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისათვის—ამას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება სოფლის პარტორგანოებმა.

ლ.

მოგვაშორეთ

(ცაგერი, ლეჩხუმის მ.)

სამაზრო პარტკომთან არსებულ კომუჯრედში ირიცხება პარტიის კანდიდატი გიგო ლუხუტაშვილი. კომუჯრედის კრებებს თითქმის სისტემატიურათ ესწრება, მაგრამ იშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ მან თავისი ანარქიული და არა კომუნისტური ქცევით კრებაში არევ-დარევა არ შეიტანოს. ჩხუბი, ყვირილი და სხვა აურ-მაყალი მისი ძირითადი პროფესიაა. საბჭოთა ხელისუფლების დროს მიწების გაყიდვისათვის, ვაჭრობისათვის და იმისათვის, რომ ის იყო ნიკოლოზის დროის მთავრობის მოხელე, სამაზრო პარტკომმა გარიცხა პარტიიდან.

ამის შესახებ პარტკომის დადგენილება გაეგზავნა საქ. კ. პ. საკონტროლო კომისიას დასამტკიცებლად. მაგრამ მიუხედავათ ი'სა, რომ მას შემდეგ დაახლოვებით მეექვსე თვე გადის. ჩვენი „პატივცემული" გიგო საკანდიდატო ბარათსაც ატარებს და იარაღის ულარუნსაც განაგრძობს.

საჭიროა საკონტროლო კომისიამ დაჩქაროს ეს საქმე და გაანთავისუფლოს ჩვენი ორგანიზაცია ამ ცოდვიან კაცისაგან.

ელვა.

ქალთა შორის

8 მარტი ჩვენში

(ს. ჩოჩხათი, გურია)

8 მარტს შესდგა ჩოჩხათის თემის დელეგატ-ქალთა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო დიდი უმეტესობა გლეხ-ქალებისა. აგრეთვე სხდომას დაესწრნენ თემში არსებული დაწესებულებების წარმომადგენლები. გაკეთებულ იქნა მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე. შემდეგ წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები— კ. პ. და ა. ლ. კ. კ. თემკომებიდან, გან. მუშაკთა კავშირიდან, პიონერებიდან. შემდეგ გაკეთდა მოხსენება 8 მარტის მნიშვნელობაზე, რის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავათ, ჩვენ, ჩოჩხათის თემის სადელეგატო კრება, სხვა ამხანაგ ქალებთან ერთად, ფიცსა ვსდებთ გავატაროთ ცხოვრებაში 8 მარტის ლოზუნგები.

ახკორი ივანე ორაგველიძე.

8 მარტის დღის აღნიშვნა

(ქ. თბილისის წყალსადენში)

7 მარტს ქ. თბილისის წყალსადენის მუშათა კლუბში მოხდა ქალთა კრება. ვრცლათ იქნა გაშუქებული ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის—8 მარტის მნიშვნელობა. შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს მისასალმებელი სიტყვები. კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ქალთა განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. მახარაძემ. მოხსენების გათავების შემდეგ, კლუბში წავიდა კინო-სურათი „თურქის ქალი", რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

გ. ჩიტაიშვილი.

ახ. კომ. გვერდი

ახლად დაარსებული კომკავშირის უჯრედი

(სოფ. არდასუბანი, ასურეთის თემი)

სოფ. არდასუბნის ა. ლ. კ. კ. უჯრედში ირიცხება 12 წევრი. სულ ორი თვეა, რაც უჯრედი დაარსდა, მაგრამ ამ მოკლე ხანში მან საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა გლეხობაში. არსებობს პოლიტწრე, სადაც მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უპარტიო გლეხობაც ესწრება ამ პოლიტწრის მეცადინეობას. ამხანაგები დიდად დაინტერესებულნი არიან პოლიტწრეში მეცადინეობით. უჯრედს გამოყოფილი ყავს აგრეთვე ახკორი, ქალთა შორის მომუშავე, მოჯამაგირეთა შორის მომუშავე, და პროფკოლექტივში ორი ამხანაგი. ხსენებული ამხანაგები, თემკომის დირექტივების მიხედვით მუშაობენ. უჯრედის სხდომები იმართება კვირაში ერთხელ. ასეთი მუყაითი მუშაობით, უჯრედს შეუძლია კიდევ მეტი ავტორიტეტი მოიპოვოს უპარტიო გლეხობაში.

ახკორი ა. დ.

ეკონომიური ცხოვრება

ჩვენი მრეწველობა

პარკეტის ფაბრიკა

რამოდენიმე კვირის წინად მეორე გამასწორებელ სახლთან მოწყობილ იქნა პარკეტის ფაბრიკა.

ფაბრიკა ყოველ თვეში ამზადებს 1.000 კვადრატ. საჟენ სხვა და სხვა ტიპის პარკეტის იატაკს. დასამზადებელ მასალად იხმარება მუხა, კაკლის ხე, ვერხვი და სხვა. მექანიკური ხელსაწყოები და წარმოების რაციონალური დაყენება ფაბრიკას საშუალებას აძლევს დაამზადოს მაგარი, ჰიგიენური და ამავე დროს მეტად ლამაზი იატაკი, რომელიც უბრალო ხის ჯიშისაგან დამზადებულ იატაკზე იაფი ჯდება.

ძვირფასი ჯიშის ხეების უხვი მარაგის პირობებში ჩვენს ბაზარზე გასავალი აქვს მხოლოდ დიდ ასორტიმენტებს—(ძელებს, ფიცრებს და სხვას), გადანაჭრები კი იკარგება მოუხმარებლად, ან შეშად იხმარება.

ახალი ფაბრიკა კი იყენებს დასამუშავებლად ამ ნედლეულსაც.

პარკეტის ახალ ფაბრიკაში მუშაობენ უმთავრესად მეორე გამასწორებელ სახლში მყოფი პატიმრები, რომელთაც ხელფასი ეძლევა ნორმალური განაკვეთის მიხედვით. არსებული კანონის ძალით ხელფასის 50 პროცენტი მიდის ხაზინის სალაროში. მეორე ნახევრის ორი მესამედი ეძლევა მუშა-პატიმარს, ხოლო ერთი მესამედი ირიცხება განსაკუთრებულ ფონდში, რომელიც სავსებით მიეცემა პატიმარს გამასწორებელი სახლიდან განთავისუფლების შემდეგ. ფაბრიკაში მომუშავე პატიმრები ღებულობენ გაუმჯობესებულ სადილს. თვით ფაბრიკა ყოველდღიურად აძლევს სადილს 120 მუშას.

როგორც ციხის ადმინისტრაცია, ისე სახელოსნოების გამგეობა ადასტურებენ, რომ გარჯა და შრომა ძალიან კარგად მოქმედობს პატიმრებზე და შესამჩნევად სცვლის მათ ყოფაქცევას.

ლითონის მრეწველობა

საქართველოში ლითონის დამამუშავებელი მრეწველობა თითქმის არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, თბილისს და ზოგიერთ მცირე ქალაქებს, სადაც მუშაობენ შინა მრეწველური, სარემონტო სახელოსნოები, რომელნიც უმთავრესად ადგილობრივ წვრილ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაიწყო ამ წვრილ ლითონის დამამუშავებელ სახელოსნოების მსხვილ ერთეულებად გაერთიანება იმ მიზნით, რომ შექმნილი ყოფილიყო ახალი წარმოებანი, რომელნიც საფუძვლად დაედება მეტალურგიის განვითარებას ჩვენში.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ დიდ მიღწევად ამ 5 წლის განმავლობაში ჩაითვლება ამუშავება ჩათახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხნისა, რომელიც უმოქმედოთ იყო 53 წლის განმავლობაში (1870 წლიდან—1923 წლამდე). ჩათახის თუჯი, რომელსაც თავისი სპეციალური თვისებები აქვს, სავსებით უწევს ჩვენს მრეწველობას იმ თუჯის მაგიერობას, რომელიც უკანასკნელ დრომდე შემოგვქონდა საბჭოთა კავშირში შვეციიდან.

ჩათახის თუჯის მთავარი მომხმარებელი არიან საბჭოთა რუსეთის და უკრაინის მრეწველობები.

უკანასკნელ წლის განმავლობაში საქართველოს ლითონის მრეწველობა იმ მდგომარეობამდე ავიდა, რომ მას დაკისრებული აქვს შავი ზღვის რკინისგზის უდიდესი ხიდების ჩამოსხმა და დამზადება. ამ ხიდების საერთო წონა 180 ათასი ფუთს ლითონს აღემატება. ამჟამათ საქართველოს ლითონის მრეწველობის საერთო წლიური ბრუნვა უდრის—2.500.000 მანეთს.

გაძლიერებული მოთხოვნილება ლითონის ნაწარმოებზე იძლევა სრულ საფუძველს, რომ ვივარაუდოთ საქართველოს მეტალურგიის თანასწორათ ზრდა.

საქართველოს ნავთსადგურებში

ბათომის ნავთსადგური

უკანასკნელი წლის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში შესამჩნევად გაფართოვდა გადასატვირთ - გადმოსატვირთავი ოპერაციები. არც გემთსაყუდელი მოედანი და არც სატვირთავი საწყობები აღარ აკმაყოფილებს გადიდებულ საჭიროებას. შექმნილი გარემოება აიძულებს საზოგადოება „ტრანსპორტ"-ს და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ადგილობრივ განყოფილებას იზრუნონ ახალი საწყობი შენობების აგებაზე. განზრახულია მიმდინარე წლის განმავლობაში აგებულ იქნეს ორი დიდი საწყობი 1000 კვადრატ. საჟენის მოედნით.

ნავთსადგურის ნალექებისგან გაწმენდა

ამ ჟამად ბათომის ნავთსადგურში მიმდინარეობს წყალქვეშა სამუშაოები იმ მიზნით, რომ ნავთსადგურის ფსკერი გაწმენდილი იქნეს იმ სანაღმე მავთულებისაგან, რომელიც გაბმული იქნა იმპერიალისტური ომის დროს. დაახლოებული ანგარიშებით, ბათომის სადგურის ზღვის ფსკერზე ძევს სულ 5.000 ფუთი მავთული. 2500 ფუთი უკვე ამოღებულია.

წყალქვეშა მუშაობას ზღვის ფსკერზე აწარმოებს უმუშევარ მეზღვაურთა არტელი, რომელიც 25 კაცისაგან შესდგება.

საშუალო დღიური ხელფასი უდრის 5 მანეთს.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-11 ყრილობა

თავმჯდომარეობს ამხ. გ. მგალობლიშვილი

14 მარტს, დილის 10 საათზე, თბილისის ალმასკომის სხდომის დარბაზში გაიხსნა ცეკავშირის რწმუნებულთა მე11-ტე ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხანაგები: **მ. ოკუჯავა, ბალტინი, მაშკევიჩი, ბოლქვაძე, ტოროშელიძე, ერქომაიშვილი, ვარამაშვილი, როსტომაშვილი, ჩიქოვანი, თავდიშვილი, აჯემოვი, კაცაძე, ქავთარაძე, წერეთელი და მგალობლიშვილი.** სამდივნოში **გ. დუგლაძე, ჰაჭაპიძე და ასათიანი.**

ცენტროსოიუზის სახელით ყრილობას მიესალმა **ამხ. მაშკევიჩი**, შემდეგ ზაკსოიუზის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ვ. კანდელაკმა.** ყრილობამ მოისმინა მისალმების დეპეშები; ცენტროსოიუზის თავმჯდომარის ამხ. ხინჩუკისა, აზერბეიჯანის სამომხ. კოოპ. კავშირის, სომხეთის სამომხ. კოოპერატივის კავშირის რწმუნებულთა ყრილობისა, ხლებოპროდუქტისა და თბილისის მუშკოოპის თანამშრომელთაგან. როგორც ორატორების, ისე დეპეშების, ყრილობა ცხოველი ტაშის ცემით შეხვდა.

დაბოლოს დარბაზში გაისმის ერთსულოვანი და მქუხარე ტაში. ტრიბუნაზე ადის ამხ. **მიხა ცხაკაია**, რომელსაც ყრილობა ოვაციებს უმართავს.

— თქვენ დღეს,—სთქვა ამხ. მ. ცხაკაიამ, — საქართველოს სამომხ. კოოპერაციის საკითხების გადაჭრას უნდა მიუდგეთ, როგორც თავის საქმის მოყვარული დოსტაქრები და მებაღეები. ღრმა დაკვირვებული ანალიზით უნდა ჩამოაცილოთ მას მტკივნეული ადგილები და ხელი შეუწყოთ კოოპერაციის გაჯანსაღებას. ამხ. მიხას სიტყვას ფარავს ერთსულოვანი ტაში.

ამხ. ტოროშელიძეს შემოაქვს წინადადება ამხ. ცხაკაიას ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩევის შესახებ, რასაც ყრილობა აღტაცებით იღებება.

ამის შემდეგ ყრილობა გადავიდა საქმიან მუშაობაზე. პირველად მოსმენილ იქნა ცეკავშირის **გამგეობის 1924-25 წლის ანგარიში.**

ამხ. მ. ტოროშელიძის სიტყვა.

ამხანაგებო, მე არ მოველი თქვენ სმენას განვლილი საქმიანობის დეტალურად დახასიათებით. თქვენ ხელთა გაქვთ ცეკავშირის დაბეჭდილი ანგარიში. ამ ანგარიშებიდან დაინახავთ, თუ რა კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფება თვით ცეკავშირი. როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან სჩანს, მის ბალანსში აღნიშნულია ზარალი მილიონ ნახევრის რაოდენობით. მე კი ვიტყოდი, რომ ცეკავშირის ზარალი მარტო ამ თანხით არ ამოიწურება და იგი რეალურად გაცილებით უფრო მეტს უდრის.

ეს გამოარკვია ცენტროსოიუზის ინსტრუქტორის ამხ. დნეპროვსკის მიერ ოიკემბერში წარმოებულმა რევიზიამ. მისი დასკვნებით ცეკავშირის დავალიანება 2½ მილიონ მანეთს უდრის. ამავე დროს სარევიზიო მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ცეკავშირის დაღუპვა შეუძლებელია, ვინაიდან მას აქვს ისეთი თვალსაჩინო მიღწევები, რომლებიც ჯერ კიდევ უცხოა საბჭოთა კავშირის დანარჩენ კოოპერატიულ ცენტრებისათვის. ეს მდგომარეობს სამაგალითოდ დაყენებულ ანგარიშ-წარმოებაში ადგილებზე, რის გამოც, ცენტრს ყოველთვის საშუალება აქვს წარმოდგენა იქონიოს თავისი მოკავშირე ორგანიზაციებზე.

ამხ. დნეპროვსკიმ, რომელმაც წარადგინა ცენტრში თავისი მოხსენება, მკაცრი და ობიექტიური კრიტიკის დროს, აღნიშნა, რომ საქართველოში სამომხმარებლო კოოპერაციას დიდი ხნის სტაჟი და პრაქტიკა აქვს, ყავს მრავალი მცოდნე პირები ამ დარგში, მაგრამ მათ ნაკლად ითვლება ვაჭრობის უუნარიანობა. აქედან მას ის დასკვნა გამოყავდა, რომ საქართველოს კოოპერაცია ცხოველმყოფელი ორგანიზაციაა.

ჩვენი ზარალის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს პარკის ოპერაცია. ცენტროსოიუზმა დაადგინა, ეს ზარალი სრულიად ჩამოეწერა ჩვენთვის. რაც შეეხება სხვა ზარალს, იმავე ცენტროსოიუზმა ნახევარი სრულიად ჩამოწერა, ხოლო დანარჩენების შესახებ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი სამი წლის განმავლობაში გადახდის შესახებ, რომ[illegible] თვით შეადგინა.

ეს საკითხი მიიღო საკავშირო ფინსახკომმაც და ჩვენთვის სასურველადაც გადაიჭრა, ხოლო შემდეგ, იგი გაჩერდა შინა-ვაჭრობის კომისარიატის და შრომის და თავდაცვის საბჭოს შორის და ჯერაც არ გამოუტანიათ ამ საკითხზე რაიმე კონკრეტი გადაწყვეტილება. დღეს, როგორც ცენტროსოიუზის წარმომადგენელი, ამხ. მაშკევიჩი გადმოგვცემს, რომ იქაც ფიქრობენ საკითხის ჩვენდა სასარგებლოდ გადაჭრას.

ამხ. დნეპროვსკი ამის შესახებ აცხადებს, რომ ამ ზარალის ჩამოწერასთან ერთად, საქართველოს სამომხ. კოოპერაციისათვის საჭიროა მილიონ ას ოცდაათი ათასი მანეთის მიცემა, რომლიდანაც მარტო ცეკავშირისათვის საჭიროა 570 ათასი მანეთი.

რაც შეეხება ცეკავშირის საქმიანობის საანგარიშო პერიოდში, 1925 წლის, 1 ოქტომბრისათვის მისი ქსელი შეიცავდა სულ 141 კოოპერატივს 871 დუქნით, რაც წინა წელთან შედარებით, იძლევა ზრდას 6 პროცენტით კოოპერატივების მხრივ და 24,4-ით დუქნების მხრივ.

1925 წლის, პირველი ოქტომბრისათვის, ცეკავშირის სისტემაში გაერთიანებულ კოოპერატივებში წევრთა რიცხვი უდრიდა 145,630-ს, რაც წინანდელთან შედარებით, იძლევა 37,3 პროცენტით ზრდას.

რაც შეეხება საპაიო გადასახადს, ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან თვითეულ წევრზე გადახდილი საპაიო თანხა უდრის 2 მან. 26 კაპ. აბსოლიუტიურად კი საერთო საპაიო თანხა საანგარიშო პერიოდში უდრიდა 329,315 მანეთს. ამ შემთხვევაშიაც ვხედავთ ზრდას 73,4 პროცენტით.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ცეკავშირის ყველა კოოპერატივებს, გარდა თბილისისა, შეუძენიათ—16,253,439 მანეთის საქონელი. აქედან 29,3 პროც.—ცეკავშირიდან. ამ ხნის განმავლობაში ცეკავშირის თავის ორგანიზაციების საშუალებით დაუმზადებია სულ—2,266,410 მანეთის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები საქონელი და გაუსაღებია 2,160,346 მანეთისა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ცეკავშირის კოოპერატიულ ქსელს 1925 წ. პირველი ოქტომბრისათვის ემჩნევა თვალსაჩინო წარმატება.

სარევიზიო კომისიის მოხსენება

სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ამხ. ობოლაძე.** იგი ამბობს, რომ საანგარიშო პერიოდში, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, ჩატარებული იყო 96 რევიზია, მათ შორის აღმოჩენილი იყო ერთი დანაკლისი, დ. ლორთქიფანიძეზე 11.260 მ. 34 კ. რაოდენობით და ის გადაცემულ იქნა სასამართლოზე.

განსაკუთრებით, თვალსაჩინოა მიღწევები ცეკავშირის საორგანიზაციო დარგში. აქ აღსანიშნავია მუშაობის გეგმის შედგენა, სტატისტიკისა და ინსტრუქტაჟის გაუმჯობესება და სხვ.

რაც შეეხება საწარმოო დარგს, სარევიზიო კომისიის აზრით, იგი ცეკავშირისათვის საზარალო იყო და მან დიდი ფული შთანთქა. ასევე ითქმის თავის ოპერაციებზედაც, რომელიც არსებითად კოოპერატიულ მუშაობას არ შეადგენს. ამის გამო, მიზანშეწონილად მიაჩნია მომხსენებელს მისი სრული ლიკვიდაცია. მომავალში ცეკავშირის მეურნეობის გასაუმჯობესებლად კომისიის აზრით საჭიროა ბალანსის გაწმენდა და ნახევარი მილიონი მანეთის მიღება.

საბჭოს მოხსენება

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, ყრილობა ისმენს ცეკავშირის საბჭოს მოხსენებას. მომხსენებელი, ამხ. ალ. ერქომაიშვილი ამბობს, რომ საბჭოს მოვალეობას შეადგენს, წინა ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარება ცხოვრებაში, რაც მან უმთავრესად შესძლო. უმთავრესი მუშაობა, რომელიც უწარმოებია საბჭოს საანგარიშო წლის განმავლობაში, მდგომარეობს წარსულ ყრილობაზე საკსოიუზის ირგვლივ ამტყდარ დავის მოგვარებაში, რაც უკვე მიღწეულია.

დასასრულ, ამხ. ერქომაიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცეკავშირის ზარალი გამოწვეული არ არის კავშირის უკანასკნელ გამგეობის ცუდი მუშაობით, ან არსებული შტატით, არამედ მისი სიტყვით, ამ დაზარალების ფესვი წარსულში უნდა ვეძიოთ.

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების შემდეგ, ამხ. ტოროშელიძე და ობოლაძე პასუხს აძლევენ დელეგატების მიცემულ შეკითხვებზე და ამით პირველი სხდომა იხურება, დღის 2 საათზე.

მეორე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ბოლქვაძე

კამათი

მეორე სხდომა გაიხსნა საღამოს ექვს საათზე, გამგეობის მოხსენების გარშემო კამათით.

კამათში მონაწილე დელეგატები უმთავრესად ეხებიან ცეკავშირის საფინანსო ოპერაციების სისუსტეს. ზოგიერთი ორატორები გამგეობას უსაყვედურებენ უსისტემობას მუშაობაში და აღნიშნავენ, რომ ცეკავშირის განყოფილებათა შორის კონტაქტი არ არსებობს. სავაჭრო დარგის მუშაობას დელეგატები დამაკმაყოფილებლათ სთვლიან, რამდენათაც ამ უკანასკნელს საშუალება ჰქონდა დაეკმაყოფილებინა პერიფერია მის განკარგულებაში არსებულ საქონლით.

ზოგიერთი ამხანაგები ეხებიან ცეკავშირის მიერ დადებულ გენერალურ ხელშეკრულებებს სხვადასხვა ტრესტებთან და სინდიკატებთან და აღნიშნავენ მათ გამოუსადეგრობას ადგილებისათვის. ამასთანავე აღნიშნული იყო ისიც, რომ დღეს სამომხმარებლო კოოპერაციას არა აქვს რეალური საშუალებები მოსახლეობის თავისკენ მასიურად მიზიდვისათვის.

აღნიშნული იყო აგრეთვე ადგილობრივ კოოპერატივების მძიმე მდგომარეობა კრედიტების გაცემის შემცირების გამო. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას, როგორც კამათიდან ირკვევა, ძალზე უშლის ხელს სხვადასხვა გვარ კოოპერატივების ფუნქციების ერთმანეთში არევა.

დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა ყრილობამ კოოპერატიული ბანკის მიმართ, რომლის საკრედიტო პოლიტიკა სრულიად მიუღებელია ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის. დასასრულ, კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ერქომაიშვილმა. ის განმარტებას იძლევა განცხადებებზე იმის შესახებ, რომ შინა-ვაჭრობის კომისარიატის პოლიტიკა ხელსაყრელი არ არის კოოპერატივებისათვის. ორატორი უსაყვედურებს ამხანაგებს პასიურობას ამ საკითხში და ამბობს, რომ კოოპერაციის წარმომადგენლები შინა-ვაჭრობის კომისარიატში ამ საკითხის მოსაგვარებლად ნაკლებ აქტივობას იჩენენ. ის აცხადებს, თუ პოლიტიკა შინა-ვაჭრობის კომისარიატისა არ აკმაყოფილებს კოოპერატივებს, ამის შესახებ თვით უკანასკნელებმა უნდა აღძრან საჩივარი უმაღლეს ორგანოებში და ამით ხელი შეუწყონ მის გადაჭრას თავის სასარგებლოდ.

მუშათა ცხოვრება

კიდევ პროტექციის შესახებ

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მრავალი წერილები დაიბეჭდა და ბევრი ითქვა პროტექციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადების საჭიროებაზედ.

ჩვენც, რასაკვირველია, დიდ იმედებს ვამყარებდით და ვფიქრობდით, რომ ამ კამპანიის დაწყება დადებით შედეგებს მოგვცემდა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს იმედი ჟერ-ჟერობით არ გამართლდება.

ზედმეტად მიმაჩნია განმეორება იმისა, თუ რა უარყოფითი შედეგები მოაქვს ჩვენს ცხოვრებაში პროტექციას. აქ მხოლოდ ერთი კი არ შემიძლიან არ აღვნიშნო.

არის შემთხვევები, როცა უმუშევარი, რომელიც აუტანელ გაჭირვებაში იმყოფება და ცოლ-შვილი, ლამის არის, შიმშილით ამოეხოცოს, ვერ პოულობს სამსახურს, რადგან არ იცნობს „გავლენიან პირებს" და არ ჰყავს პროტექტორი.

ამ დროს კი გაცილებით კარგ მდგომარეობაში მყოფი უოჯახო მუშაკები უფრო ადვილად ახერხებენ სამსახურის შოვნას თავიანთ ნაცნობების და ნათესავების საშუალებით. ეს გარემოება კი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ჩვენს მუშებში.

საჭიროა ამ მეტად მავნე უარყოფითი მოვლენის ირგვლივ დროგამოშვებით წერილების მოთავსება, ყველა იმათი გვარების მხილებით, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან პროტექციის გაწევაში.

თვით მე ვსდგამ პირველ ნაბიჯს ამ მხრივ:

რამოდენიმე დღის წინად ა.-კ. რკ. გზების სტამბა-ლიტოგრაფიაში გამოცხადდა ერთი შრომის დეზერტირი, რომელმაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მიატოვა ქარხანა და თავის სოფელს შეაფარა.

აი, ეს მოქალაქე საპროტექციო პაკეტებით დატვირთული, ერთი პოლიგრაფიული ტრესტის პასუხისმგებელი მუშაკის და მეორე კიდევ პასუხისმგებელ მუშაკის წყალობით თამამად ბრუნდება სტამბაში, ვინაიდან ზემოხსენებული პასუხისმგებელი მუშაკები სთხოვენ როგორც გამგეს სტამბისას, ისე ადგილკომის მდივანს, რომ მათ როგორმე მოუხერხონ პაკეტების მიმტანს სამუშაოზე მიღება.

კიდევ კარგი, რომ პროტექციის გამწევნი ისეთი გავლენიანი პირები არ აღმოჩნდნენ, რომ უარის თქმა შეუძლებელი ყოფილიყო. რა მოხდებოდა, რომ იგი მიეღოთ?

მოხდებოდა ის, რის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული პარტიისა და ხელისუფლების მიერ და ეს პროტექციის მქონე მოქალაქე მიღებული იქნებოდა სამსახურში. ისინი კი, რომელნიც ამას მოკლებულნი არიან და იმყოფებიან უმუშევართა აღრიცხვაზე, ისევ აღრიცხვაზე დარჩებოდენ.

იქნებოდა თუ არა ეს კანონიერი? ცხადია, რომ არა. ეს იქნებოდა დიდი უკანონობა და სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევდა მასსებში.

აი, ამ მოვლენას უნდა ვებრძოლოთ ჩვენ და ძირიან-ფესვიანად აღმოვფხვრათ იგი.

მუშა ივანე ინაური.

მუშაობა ასეთი უნდა.

ყველა დაწესებულებაზე მეტ ფხიზელ და ენერგიულ მუშაობას მოითხოვს დამზღვევი სალარო. დამზღვევ სალაროს მუშაობა და მისი ტექნიკურად გაუმჯობესება არის მუშათა ცხოვრების გაუმჯობესება და მუშების ჯანმრთელობის გაჯანსაღება. ჯანსაღი მუშებისაგან მაღლდება ყოველივე წარმოება და მცირდება ხარჯები, რითაც სახელმწიფო აპარატი ღონიერდება ეკონომიურად და გვიახლოვებს სოციალიზმს.

ამისთვის მუშები სასტიკად სდევნიან მათ, ვინც დამზღვევ სალაროს ძირს უთხრის და მიიხმარს ბოროტად და მადლობას უცხადებენ მათ, ვინც დამზღვევ სალაროს უმაგრებს ფესვებს, ამაღლებს მას და მუშათა საკეთილდღეოდ აუმჯობესებს ტეხნიკურად.

აი აქ მოვიყვან ამის შესახებ ცნობას, თუ რა მადლობის ღირსია რკინის-გზის დამზღვევ სალაროს გამგე. დამზღვევი სალარო აერთიანებს 14 ათას დაზღვეულს. მათში ბევრია დასახიჩრებული (რკინის გზაზე ხშირად ხდება ეს მარცხი). სალაროს გამგედ ითვლება ამხ. ვასო ლაშქარაშვილი და მთელ 14.000 დაზღვეულთა ბედ-იღბალი მის ხელშია.

ამხ. ლაშქარაშვილის მუშაობა დაუფასებელია და ამაში დარწმუნდებით მაშინ, როდესაც დეტალურად გადაავლებთ თვალს მის მოღვაწეობას.

დამზღვევ სალაროს ბევრი ჰყავს ძირის გამომთხრელი, მაგრამ ლაშქარაშვილს ისინი ვერ გამოეპარებიან—სასწრაფოდ გაუგებს მათ და ლაგამს ამოსდებს.

ამის საბუთები ბევრია.

ლაშქარაშვილი ებრძვის იმ ზოგიერთ ექიმებს, რომელნიც მუშას არ უვსებენ სათანადო მოწმობებს გარკვევით და სწორად, რაც წამალეუკუღმა სიარულით აწვალებს მუშებს და ამით აცდენენ წარმოებას.

ლაშქარაშვილი ისეა გატაცებული მუშაობით, რომ მას არ ახსოვს დასვენება. მისი ენერგიული მუშაობით რამოდენიმე აგარაკზე აშენებულია მუშების დასასვენებელი სახლები. საინტერესოა, როდესაც ის ესაუბრება რომელიმე მუშას თავაზიანად. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ვინმე გაესტუმრებინოს უკმაყოფილო.

დიდი მადლობა ასეთ გამგეს და ვისურვებდი სხვებმაც მიბაძონ მას, რომ მათაც უძღვნით ჩვენი მუშური მადლობა.

მუშკორი ვ. სალუქვაძე.

[illegible] წერილებიდან

[illegible] მილიციელი. მე-6 და მე-7 შეერთებულ უბანში კახეთის ქ. სომხის ეკლესიის („ლუსაურჩი"ს წინ) გოგილოს აბანოსთან შუა ღამით ძალიან საშიშია გავლა. ეს ისეთი ადგილი არის, რომ აქ კაცი რომ მოკლან ან და ხალხი გაიძარცვოს, ვერავინ ვერ გაიგებს. აქ საშინელი კლდე და ღრე არის, შეიძლება აქ ბოროტმოქმედმა კაცი ადვილად გაძარცვოს.

საჭიროა აქ დააყენოთ ერთი მილიციონერი.

მუშკორი—ალ. ბ-ლი.

მიხედეთ ამ ბაღს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკან არის ბაღი, რომელიც ეკუთვნის უნივერსიტეტს. უწინ ეს ბაღი (ქართულ გიმნაზიის დროს) ძალიან მდიდარი იყო ხეხილებით, ყვავილებით და სხ. ამ ბაღს უვლიდენ დარაჯები. აქ ისვენებდა მრავალი მუშა-ხალხი. დღეს ეს ბაღი უპატრონოდ არის მიტოვებული, იგი დღეს უბრალო ვაკე ადგილს წარმოადგენს. ამ ადგილს ორი მხრივ ჩამოუდის წყალი: ერთი ვარაზის ხევი და მეორე თვითვერის წყალი. დღეს ყოველგან შენდება ბაღი, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ალმასკომი.

ამ საქმეს კი უნივერსიტეტმა უნდა მოჰკიდოს ხელი.

მუშკორი—ლი.

დაგვიხსენით სიბინძურისაგან. პრაკოფელის ქუჩის და მის შესახვევში მცხოვრები მუშები განიცდიან აუტანელ მდგომარეობას მოქ. ვანო ტატაბაძის სახლის ფეხის-ადგილის სიბინძურისაგან. სახლის პატრონს, ტატაბაძეს, აქვს გაკეთებული ფეხის-ალაგი ქუჩის პირას, აქედან ეს სიბინძურე გამოდის ქუჩაში და ყოვლად შეუძლებელია აქ გავლა. როდესაც მას მიმართეს მუშებმა, მოეშორებინა ფეხის-ალაგი, ბ-მა ტატაბაძემ უხეშად უპასუხა: მათ ვისაც არ მოგწონთ, ნუ გაივლითო! ნუ თუ ასეთი თავხედური ქცევა ბ-ნი ტატაბაძისა კიდევ უნდა გაგრძელდეს?..

აბა მე-11 უბნის კომისარო, შენ იცი როგორც ღირსეულად მოექცევი ამნაირ თავხედ სახლის პატრონს.

მუშკორი ლიაპისი.

ახალი გზა გაიყვანეთ. დღეს თითქმის ყველა უბნებში, უმეტეს წილად განაპირა მუშათა უბნებში ხდება ქუჩის მოკირწყვლა და აგრეთვე ახალი გზის გაყვანა, რისთვისაც მადლობის ღირსია ალმასკომი.

კარგი იქნება ერთი სიკეთეც რომ გააკეთოთ და პირველ უბანში ყაზბეგის ქუჩა შეაერთოთ არცრუნის ქუჩასთან; არავითარი შენობის დანგრევა არ დაგჭირდებათ და არც დიდ ხარჯებს გაიწევთ, მცხოვრებლებს კი მიეცემა საშუალება ქალაქთან დაახლოვების.

აქ ბევრი ნაკლი გვაქვს. უმუშევართა სახლს, სადაც მოთავსებულია რამოდენიმე საამქროები, იატაკი ცემენტის აქვს და ფეხები გვიცივდება. ერთი მხრივ სულ ღიაა, სადაც ფანჯრების მინები დამსხვრეულია. ყოველმხრივ ქარი გვიბერავს. სამუშაო ბინაც აღარ გვივარგა შენობის სივიწროვის გამო. დილით ჩაის არ ადუღებენ, ადუღებული წყალი არა გვაქვს. ყოველივე ამ ნაკლის გამო მუშაობა ძალზე გვეძნელება.

მიიღეთ სათანადო ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

მუშკორი ელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

შავი ქვის ექსპორტი

ფოთი, 15 მარტი. 13 მარტს ფოთიდან ამერიკაში გავიდა იტალიის გემი „მონტე სანტა", რომელმაც წაიღო 8.166 ტონა შავი ქვა.

მოსახლეობის ზრდა

ოზურგეთი, 15 მარტი. სამაზრო „მმახ"-ის ცნობით წარსულ წელს (1925 1 იანვრიდან—1926 წ. 1იანვრამდე) გურიაში დაბადებულა:—მამაკაცი—1.200. ქალი—191, გარდაცვლილა მამაკაცი—382, ქალი—319. ქორწინება იყო—770, განქორწინება—45.

სიმინდი აღმოსავლეთ გურიისათვის

ოზურგეთი, 15 მარტი. სამაზრო ალმასკომმა მიიღო ცნობა ცენტრიდან, რომ აღმოსავლეთ გურიის მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჩრდილო-კავკასიაში შეძენილ იქნება სიმინდი.

მარცხი

ბორჯომი, 15 მარტი. 12 მარტს საღამოს 9 საათზე გორკის ქუჩაზე შემთხვევით დაჭრილ იქნა ბორჯომის პარტკომის მდივანი ცეხაძე.

ექიმების აზრით ჭრილობა საშიშარი არ არის.

მიღებულია ზომები მსროლელის აღმოსაჩენად.

შრომის არტელი

ოზურგეთი, 15 მარტი. სოფ. ბუკნარში მოეწყო მშრომელი არტელი, რომელიც აერთიანებს 600 კაცს.

არტელის მიზანია მაზრაში ძვირფას სუბტროპიკულ კულტურათა განვითარება.

არტელის განკარგულებაშია 200 დესეტინა მიწა.

„ახალგზრდების" კრება

ქუთაისი, 15 მარტი. სოფელ ხრესილში გაიმართა ყოფილ მენშევიკების—„ახალგზრდების" კრება. მოხსენება წაიკითხა მეიფარიშვილმა. კრებაზე არჩეული იქნა ადგილობრივი წარმომადგენელი, რომელსაც ევალება მჭიდრო კავშირი დაიჭიროს სამაზრო ორგანიზაციებთან.

ეპიდემია მოისპო

ქუთაისი, 15 მარტი. სოფ. ხრესილში განახლა მეცადინეობა შვიდწლედმა, რომელიც დახურული იყო ყბაყურას ეპიდემიის გამო.

მეცადინეობა სკოლაში ნორმალურად მიმდინარეობს.

პოლიტსკოლა სოფლად

ახალქალაქი, 15 მარტი. სოფ. კოთელიაში გაიხსნა პოლიტსკოლა გლეხებისათვის. სკოლაში მეცადინეობა ქართულ ენაზე სწარმოებს.

წერილები

ბატონები რიჟეში

(ს. რიჟე, ზუგდ. მ.)

თქვენ გგონიათ ჩვენ თემში გადაშენდენ ბატონები? შემცდარი აზრია. იყო ბატონები და ბატონებიც ერთი მათგანი რევოლუციამ უკვე უფსკრულში გადაჰყარა, ხოლო მეორე დღესაც ცოცხალია და ვინ იცის სანამდი იდღეგრძელებს.

დაემართა ძუკუ კორთავას, რაღაც უბედურათ, ყვავილი. ატყდა მაშინათვე ჭორიტანია კაცი და ქალი. არიქა, ბატონები გვეწვია, მოემზადეთ მის შესახვედრათო. „ბატონებს უთქვამს, მთელი რიჟე უნდა მოვიაროო, ვნახო რა პურ-მარილით დამხვდებიანო"—ამბობდენ ჭორიკანა ენები. გაჩნდა ძღვენების ზიდვა ბატონებთან. მოაქვთ და მოაქვთ ხან ერთ, ხან მეორე ავათმყოფთან: რძე, ყველი, მაწონი, ხაჭაპური, ელარჯი, კანფეტები, წიწილ-ვარია, ქონი სანთელი და სხვა.

„ბატონებს მოლხენა უნდა"-ო. აფრინე კაცი პროკოფი ვეკუასთან ჩონგურისათვის. ვეკუას ჩონგურის დასვრის შეეშინდა და უარი სთქვა. ამეტყველდენ ისევ ენები: „ბატონებმა სთქვა, თუ პროკოფიმ ჩონგური და თან თეთრი შარვალი, ბლუზა, ჟოკეს ქუდი და ახალი კალოშები არ გამომიგზავნა, მის სახლს ვეწვევი და ყველას დავაბრმავებო".

დიდ უარზე იდგა პროკოფი, მაგრამ ჯერ ცოლი შეუჩნდა, შემდეგ მეზობლები და ჩონგური მთელი კონტრიბუციით გააგზავნინეს ავათმყოფთან.

დღიან-ღამიანა სხედან ავათმყოფთან ეგრეთწოდებული მეჭორეები—ყვავილ მოხდილი ქალი და კაცი და უბოდიშებენ ბატონებს. ექიმს ხომ ახლო არავინ გააკარებს ავათმყოფს! იყვლიფება გლეხები. უკანასკნელ პერანგს იხდის ზოგიერთი და ბატონებს ძღვენს უგზავნის.

როდის იქნება, რომ ხორციელ ბატონებს ამ უსულო ბატონებსაც მიაყოლებს უკან ჩვენი სოფელი?

მეჭიფური.

მრისხანე საშა

(თიანეთი, თბილ. მ.)

ჩვენი გლეხკომის თავმჯდომარე საშა დოლიშვილს დოლზე თუ ისტუნავებ, თორემ ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, როგორიც გლეხკომია, აბა რა მისი საქმეა. კაცი მას ახირებულათ ვერ დაელაპარაკება, ზის პირქუშათ, წარბებ მოჭმუხნული, თვალებიდან ცეცხლს ისვრის და ღვთის წყალობას რისხვათ ღებულობს.

ამას წინათ შევიდა მასთან თავის საქმეზე გაჭირვებული დედაკაცი. ერთხელ მიმართა მოწიწებით,—საშა სდუმს, როგორც ქანდაკება. მეორეთ ეუბნება: „საშა, გეთაყვა, მომხედე საქმეზე მოვსულვარ".—„გეთაყვა საშა" ისევ მუნჯათაა, თითქოს პირში წყალი დაუგუბებია. ქალმა ერთხან დაიცადა. როცა მესამეთ მოაგონა პატივცემულ თავმჯდომარეს, რომ ის მას ელოდება. საშამ იყვირა, მაგრამ რა იყვირა! გეგონებოდათ პეროიდან ზარბაზანმა ამოსჭექაო.

კედლებმა ზანზარი დაიწყეს, შუშებიც აწკრიალდენ და ჭერ-იატაკიც აჭრიჭინდა. საწყალ დედა-კაცს იქვე გული წაუვიდა და იატაკზე გაიშხლართა. შეიქნა ერთი ფაციფუცი, წყალის სხურება და საფეთქლების სრესა. როგორც იქნა, გულწასული ქალი მოასულიერეს. თავმჯდომარემ, თითქოს არაფერიაო, ყველაფერი დავიწყებას მისცა.

მაგრამ თუ საზოგადო ასპარეზზე არ გამოდგა საშა დოლიშვილი, არც კერძო ცხოვრებაში მიუძღვის მას დიდი კაი-კაცობა. მის ოჯახში მუშაობდა ობლების პატრონი ქვრივი დედაკაცი. ანგარიშის გასწორების დროს საშა მას ფულის ნაცვლად სხვა შეწევნას დაჰპირდა. მიდის გაჭირვებული დედაკაცი სახლში და ობლებს ეუბნება: „რა ვქნა, შვილებო, არა მომცა რა, მეშინია არ გაჯავრდეს. ყველგან ის არის თავმჯდომარე: კოოპერატივიდანაც დახმარება აღმოთქვა და გლეხკომიდანაც. რომ რამე მეთქვა, ხომ ნახე რა დღე დააყენა ამ დღეებში იმ დედაკაცი, უთუოდ მეც ასე მომივიდოდაო".

ბოლოს საშა დოლიშვილს ეს ქვეყანა ჩალით დახურულ საბძლათ წარმოუდგენია. იქნებ მოიძებნოს ვინმე თბილისის მაზრაში, ვინც გაჰფანტავს თავმჯდომარეს ასეთ გაუგებრობას.

ივრისპირელი.

უაზრო დადგენილება

(ბუგეული, რაჭის მაზრა)

რაჭის სამაზრო ალმასკომმა ამას წინად ცნობა ბუგეულის თემის ალმასკომს, რომ სოფელ ბუგეულში განზრახულია ახალი აფთიაქის გახსნა, რისთვისაც თემ-ალმასკომს ეძლევა შესაფერი ბინის მოძებნა. ეს სასიხარულო ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ თემს. მაგრამ სიხარული ნაადრევი დარჩა.

თურმე, სამაზრო ცენტრს გადაუწყვეტია ჭრებალოდან გადატანა აფთიაქი ბუგეულში, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჭრებალოს რაიონის გლეხებმა ეს დადგენილება გაასაჩივრეს ცენტრში. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გასცა მაზრას სასწრაფო განკარგულება, რომელშიაც კატეგორიულ წინადადებას აძლევდა მას, არავითარ შემთხვევაში არ გაეუქმებინა ჭრებალოს აფთიაქი.

საინტერესოა ვიცოდეთ, რისთვის დასჭირდა რაჭის მაზრის ადმინისტრაციას ასეთი დადგენილების გამოტანა, როცა ამაზე ცენტრიდან თანხმობა არ ჰქონია?

ასეთი დადგენილებით, მხოლოდ აალაშფოთეს ჭრებალოს რაიონის გლეხები და ბუგეულის თემის გლეხებს ტყუილად მადა აღუძრეს. ბუგეულში არსებული საექ. პუნქტები ექვსი ვერსით დაშორებია მახლობელ აფთიაქიდან (ჭრებალოდან). ამის გამო გლეხს, რომელსაც წამლის შეძენა ესაჭიროება, 12 ვერსის გავლა უხდება. გარდა ამისა, ბუგეულის თემი სავსეა ექიმებით, რომელნიც სარგებლობენ აფთიაქის სიშორით და სამმაგ ფასებში ასაღებენ ყოვლად უვარგის წამალს.

ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს!

შოსახურე.

განათლების გზით

(ს. ბარალეთი, ახალქალაქის მ.)

თებერვლის პირველ რიცხვებში, ბარალეთის თემში, სოფელ კოთელიაში, დაარსდა მოძრავი პოლიტ-სკოლა. სკოლის გახსნას გლეხობა მეტიანად დაესწრო. ყველამ გამოთქვა სურვილი სწავლისა.

პოლიტ-სკოლის ხელმძღვანელად იქნა არჩეული ამხ. ივანე გიორგაძე. ამ.-კავ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტი.

მეცადინეობა გასტანს თვე-ნახევარი, რის შემდეგაც გადაწყვეტილია სკოლის მეორე თემში გადატანა. გლეხობა გახარებულია სკოლის გახსნით და გამოსთქვამს იმედს, რომ ეს იქნება საძირკველი პოლიტ-განათლების მუშაობის დაწყების, ჯავახეთში.

დურგლიშვილი.

რა აფერხებს ძველი გადასახადის აკრეფას

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

წლევანდელი სას.-სამ. გადასახადი წინანდელთან შედარებით ოთხი მეხუთედით იყო შემცირებული. გადასახადის სიმცირე, წარსული გამოცდილება და მუშაობის სიმარტივე გახდენ მიზეზი მიმდინარე წლის გადასახადის წარმატებით ჩატარებისა. მოსახლეობამაც თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. გარდა ამისა გადასახადის დანიშნულ ვადისთვის სრულად აკრეფას ხელი შეუწყო გლეხობის ეკონომიურად მოღონიერებამ.

მაგრამ რამდენათ სასიამოვნო სურათს იძლევა მიმდ. წლის გადასახადის კამპანიის ჩატარება, იმდენათ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს 1924-25 წლის გადასახადის დავალიანების აკრეფის საქმე. გადამხდელთა ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევათ, თემ-ალმასკომების მიერ დავალიანებულნი დაყოფილ იქნენ სამ ჯგუფებათ. პირველს მიეკუთვნენ ულარიბესი გლეხები, მეორეს საშუალო შეძლების და მესამეს ძალზე შეძლებულნი და ურჩი გადამხდელნი.

ასეთმა დაყოფამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი, რადგან გადამხდელთა დაჯგუფება ვერ ჩაატარეს თემებმა სათანადო სისწორით. გადაჯგუფების შესახებ ცენტრიდან არავითარი განკარგულება არ არის და დავალიანებულთა ძველი დაყოფა უცვლელად დარჩა.

მეურნეობათა ძალღონიანობის მხრივ არასამართლიან დაჯგუფებას ზედ დაერთო გადასახადის სიდიდე, რითაც მწვავეთ სდგას მისი ლიკვიდაციის საკითხი.

გლეხობაში საგადასახადო დისციპლინის განმტკიცებისათვის, საჭიროა მოხდეს ნარჩენებით დავალიანებულ მოსახლეობის გადაჯგუფება და მიღებულ იქნას არა გადამხდელთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები, რითაც საშუალება მიეცემა მაზრას, მომავალი გადასახადის ნორმალურათ ჩატარებისა.

გრ. ბაქრაძე.

სკოლა უნდა აშენდეს

(ლანირ-ქუტირი, ქუთ. მ.)

ერთი თვალის გადავლებით ეს სოფელი არც ისე მოუწყობელი სოფელია, მას თითქმის ყოველივე აქვს; მაგრამ ამ თემში ერთ დიდ ნაკლს აქვს ადგილი. ეს არის სკოლის შენობის უქონლობა. აქ არის ერთი შვიდწლედი და ორი ოთხწლედები. ამ ექვსი ოდე წლის უკან ლანირ-ქუტირმა შესძლო სკოლის შენობის აგება. სამწუხაროდ ამ სკოლის შენობას დიდი ხნის არსებობის ბედი არ მისცემია, გასაბჭოების პირველ წლებში გამოუჭროლა ყოვლად დაუნდობელმა ცეცხლმა და მტვერ-ნაცრად აქცია. დარჩა ჩვენი ახალგაზრდობა გზა-შარაში.

თემ-ალმასკომმა მიიღო ყოველგვარი ზომები მეცადინეობის გასაგრძელებლად. იშოვნა ბინა სკოლისათვის სხვადასხვა სახლებში და სწავლა გაგრძელდა. ამის შემდეგ გლეხები შეუდგენ ახალ შენობის აგებას. ბევრი წვლილი გაიღო თემმა ამ სკოლის ასაშენებლათ. მთავრობამაც დიდი დახმარება გაუწია თემს, მაგრამ სკოლა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

საჭიროა ყველამ, ვინც კი ქალაქად გასულა ამ უბნიდან, მოიხადოს ზნეობრივი მოვალეობა თავის სოფლის წინაშე და გაუწიოს სკოლას ნივთიერი დახმარება. ჩვენ უნდა შევძლოთ დაწყებული შენობის დამთავრება და ამით ხელი შეუწყოთ ლანირ-ქუტირის ახალგაზრდობის განათლებას.

ივ. დანელია.

წერილებიდან

გალი (სამურზაყანო)

წიგნები გვაკლია. ჩვენი ბიბლიოთეკა ერთხან მიძინებული იყო. ამ ბოლო ხანს მუშაობა გამოცოცხლდა. მოგვდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები. ხალხიც ბლომათ დადის საკითხავად. მხოლოდ ეს არის, რომ გვაკლია წიგნები, განსაკუთრებით ქართული ლიტერატურა. ეს ნაკლიც მალე უნდა გამოსწორდეს.

ქეცა.

ს. ქვიანი (გურია)

ხალათას ძილის მსხვერპლი. აქ ერთი გლეხი ავათ გახდა ხალათას ძილით. ოთხი დღე და ღამე ეძინა. ექიმის მოყვანა არ მოხერხდა და ავადმყოფი დიდი წვალების შემდეგ გარდაიცვალა.

მუშიშვილი.

ს. საგარეჯო (გარე-კახ.)

ლიტერატურული გასამართლება. რამდენიმე დღის წინათ აქ გაიმართა ლიტერატურული გასამართლება „გოგია უიშვილის". დამცველებათ და ბრალმდებლებათ მოწაფეები გამოვიდენ. გასამართლებას მრავალი გლეხები დაესწრო, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კამათში. საჭიროა ასეთი გასამართლებები ხშირ-ხშირათ მოეწყოს.

თ. თავართქილაძე.

ს. მესხეთი (ქუთ. მ.)

ყურს არ იბერტყავენ. არაერთხელ აღუძრავთ აქაურ გლეხებს საკითხი კოოპერატივის დაარსების შესახებ. გაზეთშიაც იყო ამის შესახებ წერილები. მაგრამ მუხიანის კოოპერატივის გამგეობა ყურს არ იბერტყავს. კოოპერატივის დაარსებას ჩვენს სოფელში დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც გლეხებისათვის ისე თვით კოოპერატივისათვის.

კუ—ძე.

სასოფლო მეურნეობა

ნედლი ბამბაზე ფასების დასაწესებლად

მიმდინარე წლის პირველი მარტიდან ა.-კ. ცენტრალურ-სტატისტიკური სამმართველო ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის დავალებით შეუდგა ამიერ-კავკასიის მებამბეთა მეურნეობის საბიუჯეტო გამოკვლევას. გამომუშავებული გეგმის მიხედვით გამოკვლეულ იქნება სულ მებამბეთა 40 მეურნეობა, ამასთან ერთად გამოკვლევის დროს მხედველობაში იქნება მიღებული მებამბეობის სხვა და სხვა ელემენტები: თვითოული მებამბის ფინანსიური მეურნეობის შემოსავალ-გასავალი, ნატურალური ბრუნვა, მეურნეობაზე დახარჯული შრომა და სხვა.

გამოსაკვლევი მუშაობა დაკისრებული აქვთ რესპუბლიკათა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების აგრონომიულ პერსონალს, რომელიც იმუშავებს ა.-კ. სტატისტიკურ სამმართველოს და მებამბეობის მთავარ კომიტეტის ხელმძღვანელობით და კონტროლს ქვეშ.

მებამბეობის გამოკვლევის შემდეგ დაგროვილი მასალის წინასწარი დამუშავება, გადაწყვეტილია, — შეუფარდდეს ერთ საკავშირო მებამბეთა თათბირს, რომელიც მოწვეულია მიმდინარე წლის აგვისტოსათვის. მასალების საბოლოო დამუშავება კი დამთავრდება ერთი წლის შემდეგ—ე. ი. 1927 წლის მარტში.

ამ საბიუჯეტო გამოკვლევის მთავარი მიზანი არის—ნედლი ბამბის ფასების განსაზღვრა-გამორკვევა.

უკანასკნელ დრომდე ა.-კ. მებამბეობის მთავარ კომიტეტს არ ქონია სრული მასალები, რომ გამოერკვია და განესაზღვრა მებამბე გლეხისათვის მისი პროდუქტის თვით-ღირებულება.

ვინაიდან, გამოკვლევით დაგროვილი მასალების დამუშავება ვერ დასრულდება მიმდინარე წლის აგვისტოსთვის, მებამბეობის კომიტეტმა შეუთანხმდა ა.-კ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს იმის შესახებ, რომ აგვისტოსათვის ამ უკანასკნელ გამოკვლევით მიღებულ მასალებთან ერთად დაამუშაოს 1925 წლის გამოკვლევის მასალები, რომელიც ამ ჟამად სტატისტ. სამმართველოს მოეპოვება.

მებამბეობა

თესლის დამზადება

ამიერ-კავკასიის მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა გამოიმუშავა სხვა და სხვა ჯიშის ბამბის მცენარის თესლის დამზადების გეგმა. გეგმის მიხედვით ყველა პუნქტებიდან თესლი გაიგზავნება განჯის საცდელ—სელექციურ სადგურზე.

განჯის სადგურს დაეკისრება სელექციის (თესლის გასუფთავება-გაწმენდა) ყველა უმთავრესი ეტაპები. სადგური გამოარკვევს და გამოიკვლევს აგრეთვე სხვა და სხვა ჯიშის თესლების ღირსებას. გამოკვლევის შემდეგ სადგური შეარჩევს ისეთ თესლს, რომელიც შეეფერება ამიერ - კავკასიის მებამბე რაიონების ნიადაგს და კლიმატიურ პირობებს.

ამავე სადგურის საცდელ მინდორზე მოხდება შერჩეული თესლის გამრავლება. შერჩეული თესლი მისი გამრავლების მიზნით დაითესება მინდვრის გასაზღვრული ნაჭერი—საცდელ მინდორზე მოყვანილი თესლი დაიგზავნება ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა რაიონებში, სადაც შერჩეული თესლის გასამრავლებლად გამოყოფილი იქნება განსაკუთრებული მინდვრები. პირველ რიგში შერჩეულ ბამბის თესლის მოყვანა-გამრავლება დაეკისრებათ საბჭოთა სასოფლო მეურნეობის ერთეულებს—მაგალითად აზერბეიჯანში ყარა-ჩალას საბჭ. სასოფლო მეურნეობას, ნახიჩევანში — ამხ. ბუნიატ-ზადეს სახელობის მეურნეობას, რაც შეეხება საქართველოს, თესლის დამზადება-გამრავლების საქმის ორგანიზაციის შესახებ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს მოლაპარაკება აქვს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

1926 წელს განჯის ცენტრალურ სელექციურ სადგურის საცდელ მინდვრებზე მოსალოდნელია 500 ფუთი გაუმჯობესებული თესლის მოყვანა.

ამ სადგურზე მოყვანილი თესლის მთელი რაოდენობა 3—4 წლის განმავლობაში გაივლის გამრავლების რამოდენიმე სტადიას. 1929—30 წლებისათვის ა.-კ. მებამბეობის ყველა რაიონები დათესილი იქნება გაუმჯობესებული—საუკეთესო ღირსების ბამბის თესლით.

წითელ ჯარში

ქართულ წითელი არმიის 5 წლისთავი

ს. კ. პ. (ბ) ყველა სამაზრო და საოლქო. კ. ცირკულიარულად

ამა წლის 21 მარტს სრულდება 5 წელი ქართულ წითელარმიის დაარსებიდან. აღნიშნული დღესასწაული ჩატარებული უნდა იქნეს მშრომელთა ფართო ფენების, პარტორგანიზაციების, პროფკავშირების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით.

1. პარტორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც დაარსდება ადგილობრივ სამაზრო და ავტ. რესპუბლ. ალმასკომებთან, დღესასწაულის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის შესრულებისა და თვით დღესასწაულის ჩატარებისათვის.
2. პარტუჯრედების ღია კრებებზე ახ. ლ. კ. კ. უჯრედების მონაწილეობით დაისვას მოხსენება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების აღმშენებლობის და, განსაკუთრებით, ნაციონალურ სამხედრო ძალების აღმშენებლობის შესახებ. იმავე თემაზე მოხსენება გაკეთდეს შესაძლებლობის მიხედვით წარმოებებში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, სოფლად—თემის საბჭოების გაფართოვებულ სხდომებზე და ქოხ-სამკითხველოებში.
3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დღესასწაულის მომზადებას ისეთ ადგილებში, სადაც სდგას სამხედრო ნაწილები, როგორც ძირითადი კადრების, ისე ტერიტორიალური ერთეულების. დღესასწაულის დღეს სამხედრო ნაწილებთან გამოწვეულ იქნან მახლობელ ადგილებიდან მუშები, მშრომელი გლეხობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისათვის და სამხედრო ნაწილების ყოფა-ცხოვრების გაცნობის მიზნით.
4. 21 მარტს მოეწყოს სამხედრო ნაწილებთან გაერთიანებული საზეიმო სხდომები.
5. გლეხთა სახლებში, მუშათა კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში მოეწყოს სამხედრო კუთხეები.
6. საშეფო ორგანიზაციებმა და კულტურულ-განმანათლებელ ორგანოებმა შესაძლებლობის ფარგლებში მოაწყონ სამხედრო ნაწილებისათვის გასართობები თეატრებში, კინოებში და სხვა.

ს. კ. პ. ც. კ. მდივ. მ. ოკუჯავა.

სააგიტაციო-საპრ. განყ. გამგის მაგიერ ბორდელაძე.

პროფკავშირებში

საქართველოს პროფკავშირთა მე-5-თე ყრილობის შედეგები

(საუბარი პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურულაშვილთან).

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში საქართველოს პროფკავშირთა მე-5-თე ყრილობის შედეგების შესახებ, პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურულაშვილმა განაცხადა შემდეგი:

— ახლად დამთავრებულმა პროფკავშირთა მე-5-თე ყრილობამ, რომელიც წინა წლების ყრილობებთან შედარებით ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, ერთი კვირის განმავლობაში ფრიად საქმიანი და ინტენსიური მუშაობა ჩაატარა.

ის გარემოება, რომ თვითეულ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათეულმა ორატორმა, ყველაზე უკეთ მოწმობს ყრილობის დელეგატთა ინტერესს და აქტივობას განსახილველად წამოყენებული საკითხებისადმი. დელეგატების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ატარებდენ უაღრესად საქმიან ხასიათს და ეხებოდენ, როგორც პროფესიონალურ მოძრაობის, ისე პროფკავშირებში გაერთიანებულ მასების ყოფა-ცხოვრების არსებით მხარეებს.

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ყრილობაზე გამოყოფილ სექციათა მუშაობა: სექციები ორი დღის განმავლობაში მეტად დაკვირვებულად და განსაკუთრებული ყურადღებით იხილავდენ პროფესიონალური ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებს და პროფესიონალურ მოძრაობის უახლოვეს ამოცანებს.

როგორც ყრილობის პლენუმზე, ისე სექციებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდენ ადგილებიდან გამოგზავნილი დელეგატები, რომელთაც თავის მონაწილეობით აზრთა გაცვლა-გამოცვლაში დაამტკიცეს მათზე დაკისრებული საქმის ცოდნა და აგრეთვე ის, რომ ერკვევიან ჩვენი პროფესიონალური ცხოვრების ყველა მოვლენებში. მათი ასეთი აქტივობა მოწმობს იმას, რომ პროფესიონალური მოძრაობა საქართველოში შესამჩნევად გაიზარდა, რომ პროფკავშირებში გაერთიანებულ მასებს თავის რიგებში უკვე ჰყავთ პროფმუშაკთა მტკიცე აქტივი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ თავის აქტივობით ყურადღებას იპყრობდა არა მარტო მე-5-თე ყრილობა, არამედ პროფკავშირთა სამაზრო კონფერენციები და ცალკე კავშირთა რესპუბლიკანური ყრილობებიც, სადაც ძირითად პროფორგანოების მუშაკები აწარმოებდენ მეტად საქმიან მუშაობას და შემოქონდათ კონკრეტიული წინადადებები პროფმუშაობის გასაცხოველებლად.

მე-5 ყრილობამ გარკვევით დასახა და გაითვალისწინა საქართველოს პროფორგანიზაციათა უახლოვესი ამოცანები—მასიური მუშაობის, საკავშირო მასების კულტურული დონის ამაღლების, ფინანსიური საქმის მოწესრიგების და კავშირის აპარატის შესანახი ხარჯების შემცირების დარგებში.

განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა სოფლად პროფმუშაობის გაძლიერების, ხელფასის, მოწესრიგების, შრომის დაცვის, საბინაო აღმშენებლობის საკითხები, რომელთა მიზამშეწონილი გადაჭრისათვის გამომუშავებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებებისა. გარდა ამისა, ყრილობამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა რკინისგზელთა პროფორგანიზაციების საერთო პროფესიონალურ მასებთან დაკავშირების აუცილებელ საჭიროებას.

წმინდა პროფესიონალურ საკითხებზე ნაკლები ყურადღება არ მიუქცევია ყრილობას შრომის, მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის საკითხებისათვის. შრომის სახალხო კომისარიატის, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწ.-მოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ მოხსენებათა მიხედვით ყრილობამ გამოიტანა დადგენილებანი, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საქმიანობას.

თავის მუშაობის დროს ყრილობა ხელმძღვანელობდა მე-14-ტე პარტიული ყრილობის დადგენილებებით, რომელიც პროფკავშირთა ყრილობამ შეუფარდა და შეუთანხმა ჩვენი ცხოვრების თავისებურ პირობებს.

ლ.

სალამი ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციების მე-3 ყრილობას

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმი ა. კ. რკინის გზის პროლეტარიატის სახელით უძღვნის ძმურ სალამს ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციების მე-3 ყრილობას და მის მეთაურს—ა. კ. პროფსაბჭოს, რომელიც მჭიდროდ აერთიანებს თავის რიგებში ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ძალებს.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც თავის პრაქტიკულ საქმიანობით ახლო დამოკიდებულებაში არის ამიერ-კავკასიის უმაღლეს პროფესიონალურ ორგანოსთან, ითვალისწინებს რა მის საქმიანობას, სავსებით იწონებს იმ ხაზს, რომელიც აღებულია ა. კ. პროფსაბჭოს მიერ ა. კ. მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში და აღნიშნავს მის უდიდეს მიღწევებს ამ ფრონტზე.

ვუსურვებთ რა ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლენინის პარტიის იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ იგი შესძლებს გაითვალისწინოს ზოგიერთი ნაკლულევანებები, რომელთაც აქვთ ადგილი ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობაში.

ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ ყრილობა გამოიმუშავებს საჭირო ღონისძიებებს, როგორც ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად, ისე ამიერ-კავკასიის პროფორგანიზაციების მომავალი მუშაობის გასაძლიერებლად და სახელმძღვანელოთ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროლეტარიატი კიდევ ერთხელ ესალმება თქვენის სახით ამიერ-კავკასიის მშრომელთა წარმომადგენლებს და დარწმუნებულია, რომ ყრილობა სავსებით გაამართლებს ყველა იმ იმედებს, რომლებსაც ამყარებს მასზე ამიერ-კავკასიის თვითეული მუშა.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციების მე-3 ყრილობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტს კომპარტიის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.!

ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე: **საგაშვილი.**

ა. კ. საგზაო კომიტეტის საქმეთა მმართველი: **გერსამია.**

პროფმუშაობის ქრონიკა

რკინის გზის პროფკავშირში

— **გამყოლები ნაცვლად კონდუქტორებისა.** ა/კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმი დაეთანხმა ა/კ. რკ. გზ. სამმართველოს სახალხო მატარებლის სამსახურისათვის ნაცვლად კონდუქტორებისა გამყოლების დანიშვნის შესახებ.

— **რკ. გზის კლუბებში ცეცხლის საქრობის მოწყობა.** ა/კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა სამმართველოს რკინის გზების ყველა კლუბებში ხანძრის საწინააღმდეგო ხელსაწყოებით გზების ხარჯზე მომარაგების საკითხში.

— **საგზაო საწარმოო თათბირის მოწვევა.** ა/კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა აპრილის შუა რიცხვებში მოიწვიოს საგზაო საწარმოო თათბირი. სატარიფო ეკონომიურ განყოფილებას დაავალა შემდეგი სხდომისათვის დღის წესრიგის წარდგენა.

— **საწარმოო თათბირების და კომიტეტის შესაფასი წიგნები.** ა/კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა აუცილებელ კრედიტის გახსნა საწარმოო თათბირების და კომისიების მიღწევების აღსანუსხავად 100 წიგნის გამოცემისათვის.

ძველი სამარხების აღმოჩენა

მცხეთის მიდამოებში

ამ ერთი კვირის წინათ, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით არქ. გ. ნიორაძემ მოახდინა არქეოლოგიური გათხრა მცხეთაში და მის მიდამოებში— წიწამურში, რომელიც მდებარეობს ნინოს მონასტრის პირდაპირ არაგვის მარცხენა ნაპირზე. ახლათ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთი წარმოადგენს ძველ სასაფლაოს, სამარხს. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სამარხი სულ სხვა ტიპისაა, ვიდრე ამავე მიდამოებში (ზაჰესთან) ამ რამოდენიმე თვის წინეთ აღმოჩენილი სასაფლაო. სხვადასხვა ადგილას, აღმოჩენილ იქნა რამდენიმე სამარხი, ჯერ-ჯერობით 6, რომელთა შორის 3 მეტად საინტერესო ტიპისაა და მეორეთ დამარხვის წესის მაჩვენებელია. საფლავები წარმოადგენენ ქვის პატარა ყუთებს, რომელთა სიგრძე 65 სანტიმეტრს უდრის და სიგძე 13 სანტ. არ აღემატება. სამივე სამარხში მოხუცი ადამიანების ძვლები იყო ჩაწყობილი. ძველ დროში, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა წესი მიწაში დასაფლავებისა, რადგან წმინდა საგნებად ითვლებოდა მიწა და ცეცხლი, და ადამიანის გვამი მათ არ უნდა შეხებოდა, როგორც ბინძური არსება, ადამინის გვამს გასახრწნელათ მიწის ზემო ნაპირზე სდებდენ ან ხარის ტყავში გახვეულს ხეზე კიდებდენ და როდესაც მისგან მარტო ძვლები დარჩებოდა შემდეგ მიაბარებდენ მიწას. ამ წესს შეიძლება ეწოდოს მეორეთ დამარხვის წესი, და ეს სამარხები ამ წესის დროის უნდა იყვენ, ვინაიდან სამარხები ისეთი პატარა კოლოფებს წარმოადგენენ, რომ შიგ მთელი სიგრძით ადამიანის ჩატევა ყოვლად შეუძლებელია. ასეთი ტიპის სამარხები ჯერ ჩვენში აღმოჩენილი არ ყოფილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ რამდენიმე ხნის წინეთ ანაპის (შავი ზღვის ნაპირას) ახლოს აღმოჩენილ ქოთნებს, რომლებშიაც ადამიანის ძვლები იყო აღმოჩენილი. რომ ასეთი წესი დამარხვის ჩვენშიც არსებობდა, ამას აღნიშნავს საბერძნეთის მწერალი აპოლონ როდოსელი, რომელიც ცხოვრობდა III ს. ქრ. დაბადებამდე.



სამარხები გარედან.
ქვევით—სამარხი, დაფარული ლოდებით.



სამარხი შიგნიდან.
მოსჩანს სამარხში ჩაყრილი ძვლები.

როგორც სჩანს, ახლად აღმოჩენილი სამარხები მეტად საინტერესო საარქეოლოგიო მასალას შეიცავს.

დ. ნ.

ქრონიკა

შინავაჭრობის კომისარიატში

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა კოოპერაციის და კერძო ვაჭრობის მომარაგების ახალი პირობები, კერძო ვაჭრის მისაზიდავად განზრახულია ზოგიერთ შეზღუდვათა გაუქმება.

სურსათ-სანოვაგის და ფართლის შემოტანა

თებერვალში ამიერ-კავკასიაში შემოტანილია 1.761.000 ფუთი პური; რაც წინა თვეს აღემატება 500.000 ფუთით.

შაქარი შემოტანილია 440.000 ფუთი; წარსულ თვესთან შედარებით გადიდებულია 100.000 ფუთით.

ფართალი იმავე თვეში შემოტანილია 83 ვაგონი, 6 ვაგონით ნაკლები, ვიდრე წინა თვეში.

აღმოსავლეთის ხალხთა დღესასწაული

აღმოსავლეთის ხალხთა პირველი სასპორტო-გიმნასტიური დღესასწაული, რომელიც ბაქოში უნდა დაწყებულიყო 1 მაისს, გადადებულია შუა-ზაფხულამდე.

საბინაო მშენებლობა

◆ **საბინაო გამოკვლევა.** შრომის სტატისტიკის ბიურომ გასულ წელს მოახდინა 10 ათასი მუშის საბინაო პირობების გამოკვლევა. მასალები მოკლე ხანში იქნება გამოქვეყნებული.

◆ **ბინების აგება.** დღემდე მთელ რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო ამხ-ბებმა ააგეს 57 ბინა. ახლო ხანში დამთავრდება 26 ბინის აგება.

◆ **მუშათა ყოფა-ცხოვრების** გამაუმჯობესებელ ფონდიდან საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტს გადაეცა 300 ათასი მანეთი საბინაო მშენებლობის მუშაობის გასაძლიერებლად.

◆ **სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით** კერძო პირებს სახლების მშენებლობის დროს მიეცემათ შეღავათი.

ბრძოლა უმუშევრობასთან

◆ **უმუშევართა რიცხვი.** მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოში ითვლებოდა 13,758 უმუშევარი კავშირის წევრი.

◆ **უმუშევართათვის** შრომის კოლექტივების და საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ გასულ წელს სახელმწიფომ დახარჯა 239,756 მან.

◆ **შრომის კოლექტივებში** ამჟამად ითვლებოდა 1800-მდე უმუშევარი, აქედან თბილისშია 1300 კაცი.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **კურსებზე გაგზავნა.** ჯანმრთ. კომისარიატმა მოსკოვსა და ლენინგრადში გაგზავნა ექიმები და მოწყალების დები ქლექის და ვენერიულ სნეულებათა კურსებზე.

◆ **საექიმო იარაღები.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო რამოდენიმე ყუთი საექიმო იარაღები.

სხვადასხვა

◆ **შინმრეწველობა.** ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა ცენტრ. კოოპ. ბანკიდან საქ. შინამრეწველობის ბიუროს სესხის სახით მისცა 35 ათასი მან.

◆ **ქართული წითელი ჯარის არსებობი**დან 5 წლის შესრულების აღსანიშნავად 21 მარტს გაიმართება ზეიმი.

შემთხვევები

◆ **თვითმკვლელობა.** მდ. ალაზნის მახლობლათ რევოლვერით თავი მოიკლა ზემო ალვანის მცხოვრებმა სვიმონ ზაქარიასძე უშარაულმა. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ცოლის მოკვლა.** სოფ. ჯიმითის მცხოვრებ (სიღნაღის მაზრა) გიგო ნიკოლოზისძე შალვაშვილმა ხანჯლით მოჰკლა თავის ცოლი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ **შეპყრობა.** 14 მარტს დესიმონოვის მოედანზე გ. ნერსესოვმა დააკავა უცნობი მოქალაქე, რომელსაც უნდოდა მისი გაქურდვა.

◆ **მეეზოვე იასაია.** 13 მარტს, ღამით ტატიანის ქუჩაზე შეიპყრეს მეეზოვე ლაზგო იასაია, რომელსაც ბრალდება ნოე დადიანისთვის 230 მან. ნივთების მოპარვა.

◆ **სავაჭროდან.** 10 მარტს, ბნელი რიგი № 20 მოქ. თადეოზ მაგაკიანის სავაჭროდან მოიპარეს 766 მანეთის საქონელი.

◆ **ქურდობა.** 14 მარტს თომას ქუჩა № 9 გაქურდეს კარაპეტ ანაზარიანცის ბინა.

13 მარტს კახეთის ქ. № 51 გაქურდეს კირაკოზ ვართანოვის ბინა.

14 მარტს ტოლსტოის ქ. № 19 გაქურდეს კონსტანცია ალიბეგოვის ბინა. წაიღეს 140 მან. ნივთები.

13 მარტს მე-11 სამილიციო უბანში გაქურდეს თამარ შატბერაშვილის ბინა.

ამავე დღეს ჩერქ. ქ. № 110 გაქურდეს ვასო გოგიაშვილის ბინა.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა კავშირში.** შაბათს, 13 მარტს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. ხაჭაპურიძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე „საბჭოთა სკოლა და დალტონ-გეგმა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„მზეთა-მზე“.** დღეს რუსთაველის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება პირველი ქართული პანტომიმა „მზეთა-მზე“.

◆ **„დიდების გამყიდველები“.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წითელი მცირე თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა: „დიდების გამყიდველები“.

◆ **„ჯვარი და მაუზერი“.** დღეიდან კინო „აპოლო“-ში ნაჩვენები იქნება სურათი „ჯვარი და მაუზერი“.

◆ **„თამარ ცბიერი“.** მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“ წარმოდგენილი იქნება მარტის ბოლო რიცხვებში.

◆ ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გასამშვენიერებლად იხატება სურათები აღმოსავლეთის და ამ.-კავკასიის ხალხთა ცხოვრებიდან.

◆ **საღამო წითელ-არმიელთათვის.** 18 მარტს წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება დიდი საღამო.

დღეს კინოებში

◆ აპოლლო—„ჯვარი და მაუზერი“.
◆ არტისტო—„ნიბელუნგები“.
◆ სოლეი—იგივე.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დინამო“—„პოლიტეხნიკუმი“

კვირას, 14 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „დინამო“-ს და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის შეჯიბრება.

შეჯიბრის მსაჯი იყო ამხ. **ტოგონიძე.**

შეჯიბრის პირველ განყოფილებაში თავდასხმის ინიციატივა ხელთ იგდო „დინამო“-მ, რომელსაც ბოლომდი აღარ შეუწყვეტია იერიშები. მიუხედავათ იმისა, რომ „დინამო“ ამ დღეს უხალისოდ თამაშობდა, მისი უპირატესობა პოლიტეხნიკუმის გუნდთან შედარებით მაინც აშკარა იყო თამაშის ორივე განყოფილებაში.

პირველი ხავტაიმის დასაწყისში დინამოელმა **იზიუმსკიმ** შესძლო ერთი ბურთის გატარება პოლიტეხნიკუმის გუნდის ჭიშკარში; შემდეგ ცდებს ორივე გუნდის მხრიდან შედეგი აღარ მოყოლია და შეჯიბრი გათავდა 1:0 „დინამო“-ს სასარგებლოდ.

აღსანიშნავია პოლიტეხნიკუმის გუნდის უკანა ბეკის— **მამიკონოვის** მოხდენილი და გაბედული თამაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **ოთხშაბათს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე,** ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა:

1) ღოღობერიძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 2) მაშკევიჩი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 3) ინსტრუქტორები: 1. ჯაფარიძე, 2. მირიმანოვი, 3, ხაცკევიჩი, 4, ჯავახია: (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 4) ხუნდაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 5) გაბუნია (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 6) ბახტაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 7) ჯაფარიძე ვ. (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 8) ინსტრუქტორები ქალთა განყ.: 1. გიორგაძე, 2. ჩერქეზიშვილი (ს. კ. პ.(ბ)(ც.კ.). 9) მუშიშვილი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 10) სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) თბ. კომიტ.). 11) მურავიოვი (ს. კ. პ. (ბ) ქ. საკ.). 12) ინსტრუქტორები (საკ. კ. პ. (ბ) ქ. საკ.), 1. ხუხუა, 2. ცაბაძე, 3. შოგირაძე. 13) გოგოლიძე ანუ აუგული (ა-კ. საგ. კომ. სანაპირო რაზმი). 14) კორსაველი (ს. ა. ღ. ქ. კ. ც. კ.). 15) მარკაროვი (ქართ. დივიზია). 16) პეტროვი (კ. წ. დრ. პოლიტ. მმართვ.). 17) აფციაური (შინ. სახ. კომისარიატი). 18) ფანცხავა (ს. პ. კ. ს.)

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგანიზაციო-განმანაწ. განყ. მდივანი— **პ. ცაგარელი.**

საპროპაგანდო კურსების ქართული ჯგუფის მეცადინეობა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე თ. კ. საგ.-საპრ. მუშაობის კაბინეტში.

თ. კ. სააღრ.-განმანაწილებელი განყოფილება იწვევს ამხ. ჩარკვიანთან შემდეგ ამხანაგებს: ივანე ალექსის ძე სპირიდონოვს, 2) სიმონ ზაქარიასძე ძებინაურს.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო აცხადებს უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ ა/წ. 16 მარტს (სამშაბათს) საღამოს 5 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა არაჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგი: ცალკე უჯრედთა ბიუროების არჩევა. დასწრება სავალდებულოა.

—ს. კ. პ. ლენრაიკომი იუწყება, რომ 16 მარტს საღამოს 6 საათზე მე-6 უბნის სალიანდაგო დარგის მუშათა კლუბში შესდგება ლენინის რაიონის უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუციის დამუშავება თბილისის ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების საკითხზე.
2) მიმდინარე საკითხები.

ლენრაიკომის მდივანი **ქავთარაძე.**

ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე ახალ მუშათა კლუბის იონის ქალთა სადელეგატო კრება.

ქართული ჯგუფის—ქალაქის აღმასკომის დარბაზში; რუსული ჯგუფის—ფოსტის მუშათა კლუბში(კინო „სოლეის“ ქვეშ).

ს. კ. პ. თ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს **პარასკევს, 19 მარტს, პარტიულ ერთიან დღის ნაცვლად მოიწვიონ უჯრედების ჯგუფური კრებები** და დღის წესრიგში დასვან მოხსენება: **„კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები“.**

მომხსენებლებად გაწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ამ. ნაზარეტიანი, მ. ოკუჯავა, ნ. სვანიძე, ლუკაშინი, ს. ჯუღელი, შ. ოკუჯავა, ი. ვარძიელი, შ. მათიკაშვილი, არ. მიქაძე, ალ. ერქომაიშვილი, მ. [illegible]შელიძე, კ. ყურულაშვილი, მურავიოვი, სუტირინი, კასიანი, ხანოიანი, სურ[illegible]ანი, ვართაპეტოვი, კ. ჩხენკელი, რატნეკი, ლევანდოვსკი, კარკლინი, ს. თოდრია, ს. ტუმანოვი, გ. ვაშაძე, ვ. სტურუა, მ. რუხაძე.

თ. კ. მდივანი—**მიხ. კახიანი.**

ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ, დღეს, საღამოს 6 საათზე ახალი მუშათა კლუბის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის მბეჭდავთა აქტივის კრება.

მბეჭდავთა უჯრედების ბიუროთა წევრების სტამბის გამგეების (კომუნისტების) და ქარხკომების ფრაქციათა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგში: 1) ამხ. ხარაზიანის მოხსენება—ტრესტის მუშაობის შესახებ, 2) რაიკომის საორგ. განყ. ცნობა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 16 მარტს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

მდივანი **ფანცულაია.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 16 მარტს, საღამოს 5½ საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (პლეხან. პ., № 123), მოწვეულია მეორე რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

მეორე რაიონის დელეგატი ქალები და ქალთა ორგანიზატორები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლათ.

მდივანი **ფანცულაია.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 16 მარტს, საღამოს 6 საათზე, მეორე რაიკომის ბინაზე (პლეხ., 96), შესდგება შემოკლებულ და ნორმალური ტიპის პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები ვალდებული არიან დაუგვიანებლად გამოცხადდენ: 1) მეტონიძე, 2) თუმანოვი, 3)სოლომონია, 4) ხრუდსკი, 5) მიჩალოვი, 6) ლოგინოვი, 7) ივანოვი, 8) ზურაბიანი, 9) ხაჩატურიანი, 10) კოლუმბეკოვი, 11) ჭელიძე, 12) მამეიშვილი, 13) ცაგარეიშვილი, 14) ნალაგინი, 15) სევიანი, 16) არუტინოვი.

მდივანი **ფანცულაია.**

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მიხეილ გარსევანის-ძე შვილებით— ქეთინო, ნუციკო და დარა, დედამთილი [illegible], მაზლები—ივანე და იოსები, რძალი ნუცა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 13 მარტს, საღამოს 5 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ ზაქარიას ასული
არჯევანიძე-ბურძენიძისა

16 მარტს, საღამოს 6 საათზე, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, თხინვალის ქუჩა, № 16 მე-2-ე კომისარიატი. დაკრძალვა 17 მარტს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1874 2—1

ღრმად დამწუხრებული სიძე ივანე აბაშიძე თავის მეუღლით მარო ზაქარიას ასულით და შვილებით ირაკლი და გაიოზით აცნობებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა 13 მარტს, საღამოს 5 საათზე, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ ზაქარიას ასული
არჯევანიძე-ბურძენიძისა

დაკრძალვა 17 მარტს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1874 2—1

დარჩელის მთლიანი კოოპერატივის გამგეობის წევრები, სარევიზიო კომისია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ხსენებული კოოპერატივის საუკეთესო ხელმძღვანელის, დაუვიწყარი ამხანაგის

კალისტრატე ანდრიას ძე
ნაჭყებიას

ტრაღიკულად დაკარგვას. დასაფლავება კოკის თემის ს. ორსანტიაში 20 მარტს, დღით, შაბათს, 3 საათზე. 1867 1—1

დარჩელის რაიონის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება „ლამპარი“ ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ხსენებული საზოგადოების საუკეთესო ხელმძღვანელის, გამგეობის თავმჯდომარე ამხ.

კალისტრატე ანდრიას ძე
ნაჭყებიას

ტრაღიკულად დაღუპას, რომლის დასაფლავება მოხდება კოკის თემის ს. ორსანტიაში ა. წ. 20 მარტს, 3 საათზე. 1867 1—1

გულჩათუთქული ძმები—კონდრატე და პოლიკარპე, დები—ბაბუკი და პიდა, რძალი მონიკა, ილია კიკნაძეს ასული შვილებით, აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს

კალისტრატე ანდრიას ძე
ნაჭყებიას

ტრაღიკულად დაკარგვას. დასაფლავება დანიშნულია ა. წ. 20 მარტს 3 საათზე. ს. ორსანტიაში. 1867 1—1

შვილები გიორგი ხოშტარია თავის ცოლ-შვილით, აკაკი ხოშტარია თავის ქალიშვილით ანიჩკა ჭყონიასი ქმარ-შვილით, შვილისშვილი ნინო ციციშვილისა ქმარ-შვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 17 მარტს დღით, ოთხშაბათს სოფ. სუჯუნაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და საყვარელი დედის და ბებიას

ვარდიკო თომას ასული
ხოშტარიას

გარდაცვალების მეორმოცე დღის აღსანიშნავად.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვარლამ ესებუა, დედა მინადორა თეიმურაზის ასული კაკაბაძისა, დები: ნინო ბესარიონის ასული ლოზაძისა მეუღლით მიხეილ სოლომონისძე ნიზაძე პატარა ოთიკოთი, ოლღა ბესარიონის ასული კაკაბაძე, ძმები: დავით ბესარიონისძე კაკაბაძე მეუღლე ნინოთი და გრიგოლ ბესარიონისძე კაკაბაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

თამარ ბესარიონ კაკაბაძის ასული
ესებუასი

დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში 16 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე. 1871 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვარლამ (ვალიკო) პეტრეს-ძე დოლიძე შვილებით ლუტუ და ოთარი, დებით—მარიამი და გალინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის უსაყვარლეს და ძვირფას

ნინა სპირიდონის ასულის
დოლიძის

გარდაცვალებას ღამით 13 მარტს. გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 მარტს, 4 საათზე, გერმანელების საავადმყოფოდან კამოს ქუჩა, № 54. დაკრძალვა მოხდება დიდუბის გალავანში. 1873 3—1

აპოლლო
არტისტო
სოლეი

ახლად ამ სეზონში
მეამბოხე ქალი
კონსტანც ტოლმეჯის და კონვეი ტირლის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ჯვარი და მაუზერი“

3 და 4 სერია
მსოფლიო შედევრი
„ნიბელუნგები“
(კრიმგილდას შურისძიება)
1-ლი სეანსის დასაწ. 6 საათ. 2-რე—9 საათზე
სალარო ღიაა 4 ნახ. საათიდან.
0—7 ნ. 869

რუსთაველის თეატრი: დღეს, 16 მარტს
პრემიერა, პირველი ქართული პანტომიმა
მზეთა-მზე
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
შაბათს, 20 მარტს
დეზერტირკა
კვირას, 21 მარტს, **ლამარა**
ნ. 913 5—1

სახელმწიფო ოპერა: დღეს, 16 მარტს,
რუსული დრამის წარმოდგენა
დიდების გამყიდველნი
ოთხშაბათს, 17 მარტს,
ალეშკოს მონაწ.
ლალატი
1—1 ნ. 914

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი № 10—49

მუშკოოპის წევრთა საყურადღებოდ

1. მუშკოოპის ის წევრები, რომელნიც არ გატარებულან რეგისტრაციაში ა | წ. 15 აპრილამდე, მექანიკურად იქნებიან გამორიცხულნი.
2. წევრების საპაიო გადასახადები უბრუნდებათ უკანასკნელებს 3 თვის განმავლობაში ხელახალი რეგისტრაციის დამთავრების დღიდან ე. ი. 16 აპრილიდან 16 ივლისამდე.
3. იმ წევრებმა, რომელთაც სურთ მიიღონ უკან საპაიო გადასახადი, უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადება და თან დაურთონ საწევრო წიგნაკი. საწევრო წიგნაკის წარმოუდგენლად წევრს უკან არ დაუბრუნდება საპაიო გადასახადი.
4. საპაიო გადასახადები, რომელსაც წევრები არ წაიღებენ ა | წ. 16 ივლისამდე, ჩაითვლება მოუკითხავად და გადაირიცხება მუშკოოპის ძირითად თანხაში.
5. საპაიო გადასახადების უკან მიღების წესი ძველი რჩება.

1—1 ნ. 912 გამგეობა

სამხედრო-სამომხმარებლო საზოგადოების
„ბოეც“-ის
„БОЕЦ“
გამგეობა
აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ საზოგადოების რწმუნებულთა მე-4 კრების დადგენილების თანახმად 20—24 თებერვლის თარიღით,
საზოგადოების წევრთა ხელახალი რეგისტრაციის უკანასკნელი ვადა არის
ა. წ. 1. აპრილი
საზოგადოების ის წევრები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არ წარადგენენ პრეტენზიებს თავიანთ პაიებზე აღნიშნულ ვადამდე, მექანიკურად იქნებიან გამორიცხულნი
1—1 ნის. 910 გამგეობა

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მოსამართეში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭვდა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

0—2 მთავარი კანტორა

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—7

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—5-

---

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია აცხადებს, რომ ის 24 მარტს 1926 წ. 2 საათის დღისა მე-3 პროლეტაროვანი ქუჩ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის კონსტანტინე ტერიევისას უძრავი ქონებას ერთ აგურის სამოთახიან სახლს სამზარეულოთი და თავლით დახურულს მარსელის კრამიტით შეფასებულს შვიდასი მან. დასაკმაყოფილებლად გოზალოვისა, შიხაშვილისა და კრომბერგისა. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან. 1—1 1875

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი კ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 23 მარტს დღის 12 საათზე ადელ ადოლფის ასულის პონომარენკოს ბინაზე ბებუთოვის ქ. № 19, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ოფფენბახერის ფაბრიკის პიანინო, რომელიც აწერილია მისი ვალის დასაფარავად და შეფასებულია 460 მანეთად 1—1 ქვ. 1869

СУДЕБНЫЙ ИСПОЛНИТЕЛЬ НАРСУДА 4 РАЙОНА Г. ТИФЛИСА К. ПОТЕМКОВСКИЙ

сим об'являет, что 20 сего марта, в 11 час. утра, по Монументному пер. под № 1, им будет продаваться с 1-го публичного торга речная мукомольная мельница о 2-х поставах с 5 железными цепями со всеми принадлежностями, на ходу, описанная за долг Мойсея Вайнсман и Эвграфа Пономарева, оцененная для продажи в 350 р.

1870 1—1

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზის სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23. 25—17

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელ
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური დამთვლელი მანქანა

დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამრეწველო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კანტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის ადვილად მისაწდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ საჭიროება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფათ. საუცხოვოა სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გამოიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპიკის მიღებისთანავე. [illegible] მანეთამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით. ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.

გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნეს 15 კაპიკი.

შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 6. ბინა 8. ავტორს ა. ი. ცუკერშტეინს. ნ. 896 8—1

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—14

სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის ფონდების აღრიცხვის და რეალიზაციის ბიუროს რწმუნებული კავკასიის წითელდროშოვან არმიის რაიონში
აცხადებს ყველა
სახელმწიფო წარმოებების
და
სახელმწიფო მრეწველობათა
საყურადღებოთ, რომ აღმრიცხავ ბიუროში გასასყიდათ შემოვიდა დიდი რაოდენობის **მსუბუქი და ხაზარგო ავტომობილები, მოტოციკლეტები და მათი ნაწილები.** ქონების დასათვალიერებლად და ცნობების მიხაღებათ უნდა მიმართოთ ბიუროს რწმუნებულს სამშაბათობით და პარასკევობით, უქმე დღეებს გარდა, დილის 10-დან 11 საათამდე (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 10)

3—1 ნის. 903

წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი,

თანახმად 304 მუხ. სამოქ. სასამარ. საპროცესო კოდექსისა, ამით აცხადებს, რომ 26 ამა მარტის თვეს დილით 9 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავი ქონებისა ფახულანის კოოპერატივ „ალორძინებისა“, რაც შეადგენს ფართლეულობას და სხვებს, დასაკმაყოფილებლად სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატისა. აწერილი ქონება შეფასებულია 889 მან. 91 კაპ. ვაჭრობა დაიწყება აწერილი თანხიდან. ნ. 911 1—1

დავკარგე პასპორტი თამარ ლავრენტის ასულის ხამაშურიძის სახელზე. ჩ. გ.

დავკარგე პარტიული ბილეთი № 726638 აბრამ შახნაზაროვის სახელზე ჩ. გ. 1—1 № 1876

დავკარგე პარტიული ბილეთი № 426639 სტეფანე მაისურაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1876

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 756 | 416 ექიმ შალვა იაკობაშვილის სახელზე. ჩ. გ.

დავკარგე პარტ-ბილეთი № 497.490 პარასკევა დგებუაძეს სახელზე. ჩ. გ. 1877 1—1

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი გაცემული თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გროშაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1879 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68.

ტირაჟი—25.354